ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა

როგორ შეუწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება და პედაგოგთა თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო

სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებელი:

ნინო სამხარაული.

2022-2023 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი.....5

თავი I…….....7

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მიზნები 7

1.1 ინფორმაცია სკოლის შესახებ.....7

1.2 მოკლე ინფორმაცია საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.....8

1.3 კვლევის აქტუალობა.....13

1.4 კვლევის მიზანი.....14

1.5 კვლევის ამოცანა.....15

1.6 კვლევის მთავარი საკვლევი კითხვა და ქვეკითხვები.....16

1.7 ჩემი ვარაუდები.....16

თავი II……17

ლიტერატურის მიმოხილვა.....17

2.1.რა არის სკოლის საჭიროების კვლევა.....17

2.2. არაფორმალური განათლება.....17

თავი III …….....30

კვლევის მეთოდები.....30

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფების შერჩევა.....31

3.2 კვლევის ინსტრუმენტები.....31

3.3 შერჩევა.....31

3.4 მონაცემთა შეგროვება.....32

3.5 კვლევის ვადები.....32

თავი IV.....35

მონაცემთა ანალიზი.....35

4.1 მონაცემთა ანალიზი.....35

4.2. გამოკითხვა-ანკეტირების შედეგები.....36

4.3.კვლევის ძირითადი დასკვნები.....46

4.4. კვლევის ძირითადი მიგნებები.....47

თავი V.....47

ინტერვენციების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ეტაპები.....47

5.1ინტერვენციების დაგეგმვა.....47

5.2 ინტერვენციის შედეგების შეფასება.....84

5.3 ძირითადი დასკვნები.....85

თავი VI.....85

რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანება 86

6.1 რეკომენდაციები.....86

6.2 კვლევის შეზღუდვა.....87

თავი VII 87

7.1დასკვნა.....87

7.2 გამოყენებული ლიტერატურა.....89

7.3 დანართები.....90.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ.....96

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევის ანგარიშს,თემაზე: **„როგორ შეუწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება და პედაგოგთა თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა**

მოტივაციას და ჩართულობას“

ნაშრომი შედგება შვიდი თავისაგან. I - თავში მოცემულია საკვლევი საკითხის მიმოხილვა. II -თავი ეხება სკოლის საჭიროების კვლევის არსს, სხვადასხვა ლიტერატურას; სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს, შეფასებებს სწავლისა და სწავლების შესახებ. III- თავში მოცემულია ინფორმაცია კვლევის მეთოდოლოგიასა და კვლევის ვადების შესახებ. IV -თავი ეხება კვლევის შედეგების მიმოხილვასა და კვლევის შედეგების ანალიზს. V- თავში განხილულია ინტერვეციის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ეტაპები. VI- თავში აღწერილია კვლევის შედეგად გამოკვეთილი მიგნებები; რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანება. ხოლო VII- თავში მოცემულია კვლევის დროს გამოყენებული ლიტერატურა, დანართები და სხვა.

შესავალი

2022-2023 სასწავლო წელს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა სკოლის მასწავლებლებისა და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ არაფორმალური განათლების როლის გაძლიერებამ და არაფორმალური გარემოში მიღებულმა ცოდნამ და გამოცდილებამ , სასწავლო პროცესში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მაღალი ინტერესი, ჩართულობა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა გააქტიურება გამოიწვია. საინტერესო გახადა როგორც ქიმიის, ისე გეოგრაფიის,სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიისა და ისტორიის გაკვეთილები. სწორედ ამიტომ თითოეული პედაგოგი უნდა ცდილობდეს გასცდეს ფორმალურ,საგაკვეთილო სივრცეს და გაზარდოს არაფორმალური განათლების როლი მოსწავლეთა ცხოვრებაში,ისე რომ ხელი არ

შეეშალოს ფორმალური განათლებაში დასაფარ თემებს. ვინაიდან არაფორმალური განათლება ხელს უწყობს მოზარდის მრავალხრივი უნარებისა და კომპეტენციების დაუფლებას, ხელს უწყობს საკომუნიკაციო უნარებსა და სივრცეში ორიენტაციას. ეხმარება მოსწავლეს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენაში.

აღსანიშნავია, ისიც რომ არაფორმალური განათლება მოსწავლის ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას უწყობს ხელს. რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკურ/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის ,სისტემური აზროვნებისა და სივრცეში ორიენტაციის უნარებს. ამ დროს მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებასაც იძენს, რაც თავის მხრივ, პროფორიენტაციის განვითარების ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

აღნიშნული საკითხის გარშემო სკოლაში კვლევის დაგეგმვა და განხორციელება ვფიქრობდი, რომ კოლეგებთან აქტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ერთ-ერთი კარგი საშუალება იქნებოდა,რის გამოც გადავწყვიტე ჩავღრმავებოდი ამ საკითხს, მით უფრო,რომ ეს უკავშირდებოდა მეტად დაძაბულ წინმსწრებ რამდემინე სასწავლო წელს, რომელიც კოვიდ ინფექციას უკავშირდებოდა. ვფიქრობ, რომ აღნიშნული კვლევა და კვლევის შედეგები სარგებელს მოუტანს როგორც პედაგოგებს და მოსწავლეებს, ისე მთლიანად სკოლას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა: ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებაში სასწავლო პროცესში მასწავლებელთა მიერ არაფორმალური განათლების როლის გაძლიერება, სკოლაში თანანმშრომლობითი გარემოს შექმნის ხელშეწყობა და ერთობლივი მოქმედება, არაფორმალური განათლების მიდგომის გაძლიერება, არაფორმალური განათლების მიდგომის გამოყენების ხელისშემშლელი მიზეზების გამოვლენა, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების ძიება, ინტერვენციების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება, ახალი მიდგომების დანერგვა სკოლაში; მიღწეული შედეგების შეფასება და კოლეგებისათვის გაზიარება;რეკომენდაციების შემუშავება.

ვფიქრობ,რომ ჩემს მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა- არაფორმალური განათლების გააქტიურებამ და კოლეგების ურთიერთთანამშრომლობამ, ხელი შეუწყო სასკოლო გარემო

გამხდარიყო უფრო თანამშრომლობითი,საინტერესო და ჯანსაღი. კვლევის ერთ-ერთ ღირებულებას წარმოადგენს ის ციფრული რესურსები და პრეზენტაციები,რომელიც კვლევის ფარგლებში შეიქმნა.

მიმაჩნია,რომ,კვლევის შედეგების სასკოლო ცხოვრებაში გათვალისწინება ხელს შეუწყობს და აამაღლებს როგორც პედაგოგთა პროფესიულ დონეს, ისე მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობის ხარისხს,რაც ერთ-ერთი წინაპირობაა სასკოლო კულტურის განვითარებისთვის.

განხორციელებული კვლევა საინტერესო იქნება სკოლის ადმინისტრაციისთვის, პედაგოგებისათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ეხლა იწყებს საკუთარ პედაგოგიურ,თუ სკოლის საჭიროების კვლევას. სწორედ ამ მიზნით მოვახდინე კვლევის შედეგების გაზიარება კოლეგებთან.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მიზნები

1.1ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლა სწავლებას ახორციელებს სამივე (დაწყებითი-საბაზო-საშუალო) საფეხურზე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია. სკოლაში 208 მოსწავლე სწავლობს - 109 დაწყებით, 40 საბაზო და 59 საშუალო საფეხურზე. აქედან 17 მოსწავლე ქართველია, ხოლო 191 მოსწავლე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი-აზერბაიჯანელი. სკოლა აერთიანებს 7 კათედრას, სადაც მოღვაწეობს 24 პედაგოგი, რომელთაგან 20 - უფროსი, 4 წამყვანია. საბაზო-საშუალო საფეხურზე სწავლობს 99 მოსწავლე, რომელსაც ასწავლის 19 მასწავლებელი.

სკოლა საკლასო ოთახების სიმცირის გამო ორცვლიანია. პირველი ცვლის კლასებია საბაზო - საშუალო საფეხურის ყველა კლასი(VII-XII),მეორე ცვლის კლასებია: I,II,III,IV,V,VI. 202-2021 წელს, ქვეყანაში შექმნილი კოვიდ -პანდემიის გამო, ჯანდაცვის სამინისტროსა და განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციით, სკოლამ შეიმუშავა სტრატეგია,რაც

გამოიხატება იმაში, რომ პირველი ცვლის კლასებს წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის კლასები (I,II,III,IV, V, VI), ხოლო მეორე ცვლის კლასებია: საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასი (VII,VIII-ა,ბ; IX,X, XI,XII). ეს მიდგომა სკოლამ დატოვა, რომელიც ამჟამადაც ანალოგიურად ხორცილდება. სკოლა,სამწუხაროდ არ არის აღჭურვილი თანამედროვე, ციფრული კომპიუტერული ლაბორატორიით, თუმცა ინტერნეტი არის. არ ფუნქციონირებს არსებული კომპიუტერები. სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ აქვს კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტადიონი.სკოლის გარეთა ეზო კეთილმოწყობილია. სკოლაში არსებული ბიბლიოთეკა, მიუხედავად მცირე ფართისა,მაინც ფუნქციონირებს. სკოლას მეტ-ნაკლებად აქვს მოსწავლეთა სწავლებისათვის საჭირო რესურსი. სკოლაში არ ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო (ქიმიის,ფიზიკის,ბიოლოგიის) კაბინეტი. ამასთან,ფართის სიმცირის გამო, შეუძლებელია კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების (ცდა,ექსპერიმენტი) ჩატარება. ასევე,განვიცდით ამ მხრივაც დეფიციტს. მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, სკოლის პედაგოგები მაინც ზრუნავენ საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის განვითარებაზე. სკოლა 2020 სასწავლო წლიდან ჩაერთო „ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში, სადაც პედაგოგებმა აქტიურად გაიარეს სამუშაო შეხვედრები, ესწრებოდნენ სხვადასხვა ვებინარებს, ასევე, აქტიურ მონაწილეობდნენ სკოლაში დაგეგმილ პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებში, ახორციელებდნენ სასწავლო პროექტებსა და სხვადასხვა აქტივობებს. სკოლაში მეტ-ნაკლებად შექმნილია თანამშრომობითი გარემო. მასწავლებლები მუდმივად უზიარებენ ერთმანეთს წარმატებული პრაქტიკის გაკვეთილებსა და პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მიღებულ ცოდნას. მასწავლებლები ხშირად ვმსჯელობთ სხვადასხვა ტიპის პრობლემებზე. ურთიერთთანამშრომლობით, ურთიერთდახმარებითა და საკუთარი წარმატებული პრაქტიკის გაზიარებით, ერთობლივად ვიბრძვით არსებული პრობლემების შესამცირებლად და აღმოსაფხვრელად.

1.2.მოკლე ინფორმაცია საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ.

მე, ვარ ნინო სამხარაული. 2001 წელს დავამთავრე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლა, 2006 წელს კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტი,ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, კვალიფიკაციით -ქიმიკოსი.

2006 წლიდან ვასწავლი ქიმიას სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში. 2013 წლიდან მუშაობა დავიწყე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლაში,სადაც ასევე, ვასწავლი ქიმიას. 2019 წელს ასევე მუშაობა დავიწყე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლაში,ქიმიის მასწავლებლად. ვარ სერტიფიცირებული მასწავლებელი ქიმიაში 2013 წლიდან. 2019 წლიდან წარმოვადგენ ქიმიის წამყვან მასწავლებელს.

აღნიშნულ სკოლებში ვასწავლი მე-8 დან მე- 11 კლასების ჩათვლით ყველა კლასს. წარმოვადგენდი „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი“ საქართველოს მიერ ინიცირებულ „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში მუღანლოს საჯარო სკოლის სამუშაო შეხვედრების ფასილიტატორს, რის საფუძველზეც, 2017-2018 სასწავლო წლებში აქტიურად ვახორციელებდი პედაგოგთა სხვადასხვა ჯგუფებთან სამუშაო შეხვედრებს. ჩატარებული მაქვს 15-მდე სამუშაო შეხვედრა პედაგოგთა სხვადასხვა ჯგუფებთან. ასევე,ჩართული ვიყავი და გავლილი მაქვს „ლიდერობის აკადემიის“ სრული კურსი. 2019 წლიდან სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ არჩეული ვარ ტუტორად, რომლის ფარგლებშიც, ამავე სკოლის მაძიებელი-ბიოლოგიის მიმართულებით- ლანა ბარბაქაძე, რომელიც სკოლამ „მომამაგრა“, აქტიური ურთიერთთანამშრომლობითა და აქტიური სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის საფუძველზე, გახდა უფროსი მასწავლებელი. ასევე, 2020 წლის ახალი სასწავლო წლიდან, არჩეული ვარ, ამავე სკოლის ბაზაზე „ხარისხის განვითარებისა პროფესიული მხარდაჭერის“ ჯგუფის წევრად. 2020-2021სასწავლო წლიდან აქტიურად ვარ ჩართული პროექტ -„ახალი სკოლის მოდელში“. 2022 წელს წარმატებით დავძლიე კარიერული წინსვლისთვის ჩატარებული პროფესიული გამოცდა, სადაც ავიღე 56 ქულა და გადავლაზე მენტორის სტატუსისთვის შესაბამისი ზღვარი. ვარ აქტიური, შრომისმოყვარე, მოტივირებული და სიახლეების მოყვარული მასწავლებელი. ვაცნობიერებ განათლების სისტემაში არსებულ სირთულეებს, გამოწვევებს, პრობლემებს, რის გამოც ყოველთვის

ვცდილობ, სწორად გავაანალიზო ჩემს მიერ მიღწეული შედეგები ამ სფეროში და საჭიროებისამებრ დავგეგმო საკუთარი პედაგოგიური მოღვაწეობა.

1.3 კვლევის აქტუალობა

ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულების საჭიროების კვლევის თემის: **„როგორ შეუწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება და პედაგოგთა თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას“** -აქტუალობას განაპირობებს ადამიანური რესურსის ეფექტიანად გამოყენება, იმ უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ახალგაზრდა თაობის აღზრდა,რომლებიც დღევანდელ მსოფლიო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიან ადამიანებად ჩამოყალიბებას.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის არც თუ მცირე პერიოდის განმავლობაში სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებამ, კოლეგებთან კომუნიკაციამ და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობამ, გამოკვეთა ის რომ უნარებს, რომელსაც ავითარებს მხოლოდ ფორმალური განათლება, ვერ პასუხობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს (განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა, და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის კვლევა), და რომლის დაძლევაც გვიწევს სასკოლო საზოგადოებას,კერძოდ კი მასწავლებლებს, რაც მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, როგორც მომავალი თაობის დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, ისე შრომის ცვალებად ბაზართან სწორი ორინეტაციის მიმართულებით.

შრომის ბაზრის მობილურობის გაზრდა, შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების აუცილებლობა, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს როგორც პროფესიული მომზადების, ისე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას. მოზარდ თაობას უჭირთ მომავალი პროფესიის არჩევასთან, კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებული რთული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა,თანამედროვე სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება.

დღეისათვის, საქართველოში სკოლის მოსწავლეთათვის, განსაკუთრებით სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურეზე პრობლემას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება მომავალი პროფესიის თაობაზე. მოსწავლეთა უმრავლესობას არ აქვს გაცნობიერებული საკუთარი, რეალური

შესაძლებლობები და მათი რეალიზების გზები. რადგან მათი ინტერესის სფერო ძალიან ფართოა, ინფორმირებულობა -ვიწრო. მოსწავლეები სათანადოდ ვერ აფასებენ პროფესიას და გადაწყვეტილებას იღებენ ისეთ ფაქტორზე დაყრდნობით, როგორიცაა: სტერეოტიპები, ანაზღაურება, პრესტიჟულობა, გავრცელებული შეხედულებები და სხვა. რაც საბოლოოდ არაკვალიფიციური, შესაბამისი ცოდნის, უნარების, პიროვნული მახასიათებლებისა და კომპეტენციის არმქონე კადრების სიჭარბეს განაპირობებს. ყოველივე ეს კი უარყოფითად ისახება ახალგაზრდების დასაქმებასა და უმუშევრობაზე.

იმისათვის, რომ საზოგადოებაში გაბატონებულმა სტერეოტიპებმა, შეხედულებებმა, გარკვეულწილად ოჯახმაც კი, არ მოახდინოს ზეგავლენა მოზარდის პროფესიულ არჩევანზე, საჭიროა მოზარდი თაობის გათვითცნობიერება და შესაბამისი განათლების მიცემა, არაფორმალური განათლების სხვადასხვა ფორმების დახმარებით.

ევროპის ქვეყნებში მთელი სიცოცხლის განმავლობაში ძირითად ორიენტირად მიჩნეულია სწავლის ხელშეწყობა,რასაც ადასტურებს „ევროპის განათლებისა და ტრენინგების სტრატეგია 2020“ ,სადაც აკადემიურ განათლებასთან ერთად უდიდესი წილი არაფორმალურ განათლებაზე მოდის.

აღნიშნული თემის აქტუალობა დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ TIMSS-ის კვლევების თანახმად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეთა აკადემიური ხარისხი არასახარბიელო და საყურადღებოა. პრობლემის გამოსასწორებლად ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ (პროგრამა-მილენიუმი) შემოთავაზებული იქნა სწავლება-კვლევაზე დაფუძნებით. (ტრენინგები,ვორქშოპები,ინტეგრირებული პროექტები,პროექტული სწავლება, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება და ა.შ.), რომლის განხორციელებისთვისაც სწორედ რომ არაფორმალური განათლების მიმართულებაა არჩეული.

არაფორმალური განათლების აქტუალობა განაპირობა იმანაც, რომ სასწავლო აქტივობების შეთავაზებისას ადგილი აქვს კოლეგთა აქტიურ თანამშრომლობას, კომუნიკაციას,გამოცდილების გაზიარებას და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას, რომელიც ერთგვარ მოდელად შეიძლება იქცეს მოსწავლეებისთვის.სოციალურ-კოგნიტური თეორიის ცნობილი წარმომადგენელის, ა.ბანდურას

მიხედვით [11] სწავლება და განვითარება ეფუძნება არა მხოლოდ პირადი გამოცდილების შეძენის პროცესს,არამედ უმეტესად სხვა ადამიანთა ქვევაზე დაკვირვებასა და მოდელირებას.

იმისთვის, რომ მოხდეს ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამჭოლი კომპეტენციების განვითარება (წიგნიერება, მედიაწიგნიერება, ციფრული წიგნიერება,რაოდენობრივი წიგნიერება,მრავალენობრივი კომპეტენცია,სემიოტიკური კომპეტენცია, სწავლის სწავლა, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია), რაც გულისხმობს კონსტრუქციულ თანამშრომლობას, პრობლემის გადაჭრას და მოგვარებას , კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, გადაწყვეტილებების მიღებას, საკუთარი აზრის გამოხატვას, საკუთარი შეხედულებების და გამოცდილების რეგულაციას, კვლევითი უნარ-ჩვევების გამოყენებას, ინფორმაციის მოძიებას, ავთენტურ და დოკუმნეტურ მასალებზე დაყრდნობით სწორი დასკვნების გამოტანას, მიღებული ცოდნის შესაბამის ტრანფერს,თვითრეალიზებასა და საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. [8]

არაფორმალური განათლების ხელშეწყობით დაინტერესება ჩემი, როგორც პედაგოგის აქტუალურია,რადგან ამ დროს:

- ✓ ფორმალურ განათლებასთან ერთად ინტეგრირდება არაფორმალური განათლება.
- ✓ იზრდება არაფორმალური განათლების წილი.
- ✓ იზრდება მოსწავლეთა ინტერესის სფერო/სფეროები.
- ✓ იზრდება მოსწავლეთა დამოუკიდებლობა.
- ✓ იზრდება მოსწავლეთა თვითდაჯერებულობა და საკუთარი თვითშეფასება.
- ✓ იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლი.
- ✓ სტაბილურდება მოსწავლეთა სოციო-ემოციური მდგომარეობა.
- ✓ მცირდება სარისკო ქმედებები და ორიენტაცია მოზარდ თაობაში.
- ✓ ხელი ეწყობა მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.
- ✓ მოსწავლეებში იზრდება პრობლების დანახვის,იდენტიფიცირების, გამოსავლის ძიების,პრობლემის გადაჭრის ძიების უნარები.
- ✓ ადგილი აქვს მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების წახალისებას.

იქიდან გამომდინარე, რომ განათლების მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოება უფრო მეტადაა სოციალურად ორიენტირებული და შემოქმედებითი, სკოლებში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის, მოზარდი თაობის ღირებულებების, სწორი აზროვნების და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისთვის, მოტივაციის შექმნისა და ამაღლებისთვის, საკუთარი თავის სრულყოფილად რეალიზებისთვის, მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებებში მეტი ყურადღება დაეთმოს არაფორმალურ განათლებას. რადგან არაფორმალური განათლების პოლპულარიზაციის ხელშეწყობა დაეხმარება როგორც მასწავლებელს,ისე მოსწავლეს- ისეთი თაობის აღზრდაში, რომელიც უპასუხებს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს, იქნება უფრო მეტად მოტივირებული, ორგანიზებული, თვითდაჯერებული და მოთხოვნადი ახალგაზრდა,რაც საბოლოო ჯამში დაეხმარება მოსწავლეს ცხოვრებისეული,პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

1.4.პრობლემის ანალიზი

საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა რომ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიდან და მათი განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე , ასევე, სკოლის არასახარბიელო მდგომარეობამ და რესურსების ნაკლებხელმისაწვდომობამ მოსწავლეთა დაბალი ინტერესი როგორც ქიმიის, ისე სხვა საგნების მიმართ. განსაკუთრებით დაბალია ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ. აღნიშნული ფაქტის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ TIMSS-ისა და PIZA-ს საერთაშორისო კვლევები. მთავარი მიზეზი კი რის გამოც მოსწავლეები საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ ნაკლებ ყურადღებას იჩენენ, ვფიქრობ ამ პროფესიებისადმი დაბალი ინტერესია. საინჟინრო და ტექნიკური სპეციალობები დღეს „არამოდური“ და ნაკლებ პოპულარულია. გარდა ამისა, მოსწავლეებში შეინიშნება წიგნიერების დაბალი დონეც. უჭირთ თეორიული ცოდნის დაკავშირება და ტრანსფერის უნარი საგანთაშორის კავშირების დასამყარებლად.მოსწავლეებში ნაკლებად შეიმჩნევა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამჭოლი კომპეტენციების ფლობა; მით უმეტესს რომ სართიჭალის N3 საჯარო სკოლა დაკომპლექტებულია ეთნიკური უმცირესობის მქონე- აზერბაიჯანელი მოსწავლეებით, რომელთაც საკმაოდ უჭირთ ქართულად საუბარი, მეტყველება და აზროვნება. მინდა აღვნიშნო, რომ

აზერბაიჯანელი მოსწავლეებიის 95%-ს უჭირს საგანთაშორისი კავშირების დამყარება, რომელიმე საგანში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა და გამოყენება. მოსწავლეებს უჭირდათ საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების ადექვატური გააზრება, ძალიან დაბალი ჰქონდათ გარემოსადმი ჯანსაღი დამოკიდებულებების ჩამოყალიბება (ეკოლოგიური წიგნიერება), პროცესის დამოუკიდებლად მართვა (სწავლის სწავლა), პრობლემის მოგვარება, იდეებისა და მოსაზრებების თამამად გამოხატვა. გადაწყვეტილებების მიღება, ინფორმაციის დამუშავება (წიგნიერება), რაც გულისხმობს იმ ცოდნის,უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მედია გზავნილების ანალიზის, მათი წარმოების ტექნიკის,აუდიტორიაზე ზეგავლენის და ამ ზეგავლენის შედეგების ადექვატური შეფასება. პრობლემები შეიმჩნეოდა მოსწავლეებში ისეთი მიმართულებითაც, როგორიცაა განათლება-სამედიცინო მიმართულებით, ფინანსური განათლების მიმართულებით, მდგრადი განათლების განვითარებისა და პროფორიენტაციის კუთხითაც.

პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ ნაკლებად ჰქონდა სკოლაში ადგილი არაფორმალური განათლების მიმართულებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარებას. კერძოდ, ნაკლებად ვლინდებოდა ამ მიმართულებით პედაგოგთა თანამშრომლობა. თანამშრომლობა ნაკლებად შეიჩნეოდა როგორც ერთი კათედრის ფარგლებში, ისე კათედრათშორის . ნაკლებად იგეგმებოდა არაფორმალური და კლასგარეშე აქტივობები.

1.5კვლევის მიზანი

ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის მიზანია საბაზო-საშუალო საფეხურზე არაფორმალურ გარემოში მოსწავლეთა ჩართულობის, კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის და პრაქტიკის გაზიარების სიმცირის მიზეზების და ამ მიზეზებით გამოწვეული პრობლემების დადგენა. გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრის და შესაძლო ინტერვენციების ძიება კოლეგებთან თანამშრომლობით და მათი ანალიზი.

1.6. კვლევის ამოცანები:

- ✓ სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურზე არაფორმალურ გარემოში მოსწავლეთა ჩართულობის, კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის და პრაქტიკის გაზიარების სიმცირის მიზეზების და ამ მიზეზებით გამოწვეული პრობლემების დადგენა.
- ✓ ლიტერატურის გაცნობა და დამუშავება საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.
- ✓ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.
- ✓ ინტერვენციების შემუშავება.
- ✓ დაგეგმვა და განხორციელება.
- ✓ ახალი იდეების, სტრატეგიების სასკოლო ცხოვრებაში დანერგვა.
- ✓ მიღწეული შედეგების შეფასება.
- ✓ სხვადასხვა საგანში არასახარბიელო აკადემიური მოსწრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა და კვლევის წარმოება.
- ✓ კოლეგებისათვის კვლევის შედეგების გაზიარება.
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება.

1.7 კვლევის მთავარი ამოცანა.

კვლევის ამოცანაა,პასუხი გასცეს კვლევის მთავარ კითხვას: სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურზე არაფორმალურ გარემოში მოსწავლეთა ჩართულობის, კოლეგებთან ურთიერთთანამშრომლობის და პრაქტიკის გაზიარების სიმცირის მიზეზების და ამ მიზეზებით გამოწვეული პრობლემების დადგენა, შემდეგ კი მოგვარება.

1.8. ჩემი ვარაუდები

ვფიქრობ,სავარაუდო მიზეზები,რის გამოც პედაგოგები სასწავლო პროცესში არ/ვერ იყენებენ არაფორმალური განათლების აქტივობებს არის შემდეგი:

1) სათანადოდ არ იცნობენ არაფორმალურ განათლებას, მის როლსა და კავშირს ფორმალურ განათლებასთან.

2) არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია არაფორმალური განათლების აქტუალობის და მიზნობრიობის შესახებ.
3) იცნობენ,მაგრამ ვერ/არ ახორციელებენ.
4) დრო არ აქვთ ორგანიზება გაუწიონ არაფორმალური სწავლებისათვის შესაბამის აქტივობებს.
5) მეთოდური მასალა და ლიტერატურის ნაკლებ ხელმისაწვდომობა.
6) კოლეგების მხრიდან ურთიერთთანამშრომლობის დეფიციტი.
7) დირექციის არასათანადო ხელშეწყობა.
8) მოსწავლეთა არაკეთილგანწყობა აღნიშნული საკითხის მიმართ.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

2.1.რა არის სკოლის საჭიროების კვლევა.

სკოლის საჭიროების კვლევა კონკრეტული სასწავლო დაწესებულების პრობლემის გამოვლენის,სირთულის დაძლევის და უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ჩატარებული აქტივობათა ერთობლიობაა, რომელიც ამავდოულად ახალი იდეების, ინოვაციების,სკოლის ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად მიმართული ქმედებაა.ასეთი ტიპის კვლევაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების სრული სპექტრი, რომლებიც ერთობლივად ცდილობენ მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. (http://mastsavlebeli.ge/?p=281) [1].

არაფორმალური განათლება

რა არის არაფორმალური განათლება? სხვადასხვა ლიტერატურაში არაფორმალური განათლების სხვადსხვა განმარტებაა მოწოდებული.მაგალითად:

- **არაფორმალური განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, რომლის დროსაც პიროვნებას არსებული რესურსებისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად უყალიბდება დამოკიდებულებები, ფასეულობები, უნარ-ჩვევები და ცოდნა.**
- **არაფორმალური განათლება არის ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი პროგრამა, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას.**
- **არაფორმალური განათლება პროფესიული განათლებაა, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არააკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შემდეგ.**

არაფორმალური განათლება არის სასწავლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს, არასაგაკვეთილო დროსა და სივრცეში. არაფორმალური განათლება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს მისთვის საინტერესო თემებს, იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი და მეგობრებთან ერთად , ინტერესებიდან გამომდინარე, დაგეგმოს, განახორციელოს ბევრი საინტერესო აქტივობა. ასეთი სწავლებისას მოსწავლე თავისუფალია. სასწავლო პროცესი მასზეა მორგებული, მასზეა ორიენტირებული, რაც მოსწავლეების დაინტერესებას იწვევს. ინტერესი კი ზრდის მოტივაციას. არაფორმალური სწავლებისას მოსწავლეები არიან სწავლების აქტიური მონაწილეები, მშობლები და მათი ოჯახები კი ჩართულები არიან არაფორმალური განათლების პროგრამის განხორციელებაში. თანამშრომლობა სკოლასა და ოჯახს შორის ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია. [3]

არაფორმალური განათლება არის ფორმალური განათლების გაგრძელება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული უნარების, ცხოვრებისეული და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებას. ამ უნარების დაუფლებით, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადება ახალგაზრდა და ხდება თავდაჯერებული.

ტერმინი „არაფორმალური განათლება“ გაჩნდა 1960-იან წლებში. 1973 წელს ფილიპ ჰ. კუმბსმა, პროსერმა და აჰმედმა დაადგინეს ფორმალური და არაფორმალური განათლების განმარტებები:

ფორმალურ განათლებას აქვს იერარქიული სტრუქტურა, რომელიც ორგანიზებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განათლების სისტემაში. ის იწყება დაწყებით სკოლაში და მთავრდება უნივერსიტეტში. არაფორმალური განათლება არის სასიცოცხლო პროცესი, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდი იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებსა და ცოდნას. ეს კი მიიღება ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ცოდნის დაკავშირებით. თუ შევადარებთ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, დავინახავთ რომ ფორმალური განათლება ორიენტირებულია სწავლაზე, ემსახურება გრძელვადიან ზოგად განათლებას, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდის განვითარებას. არაფორმალური განათლება, კი არის სპეციფიკური განათლება, რომელიც ემსახურება ინდივიდის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და რომელიც მიზნად

ისახავს მიღებული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში არა მომავალში, არამედ ცოდნის მიღების დღიდან. არაფორმალური განათლება მოკლევადიანია და მიზანზეა ორიენტირებული. არაფორმალური განათლების ერთ-ერთი საფუძველია სახალისო სწავლა. სავარჯიშოები, პრეზენტაციები, ინტერაქტიული ლექციები და ა. შ.,რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა უნარების გამომუშავებას ცხოვრების ნებისმიერ სიტუაციაში. ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ინტერესს. შეგვიძლია დავასახელოთ არაფორმალური განათლების რამდენიმე უპირატესობა.

არაფორმალური განათლება:

- თითოეულ მოსწავლეს აძლევს ადეკვატურ სივრცეს და დროს უნარ-ჩვევების გამოსავლენად;
- არაფორმალური განათლება არის თვითკონტროლირებადი და თვითმართვადი სწავლების ტიპი, რომელსაც ჩვეულებრივ არ აქვს ფორმალური სასწავლო გეგმა და შეიძლება იყოს სპონტანური;
- მოსწავლე განსაზღვრავს როდის, სად, როგორ, რა ფორმით დაიკმაყოფილებს ინტერესს;
- მოსწავლე არ არის დაძაბული, არც დროში შეზღუდული;
- არ გულისხმობს მხოლოდ მასწავლებლისგან მიწოდებულ ცოდნას, შესაძლებელია თანატოლისგან სწავლა;
- მოსწავლე არ არის მოწყენილი, რადგან საკვლევი საკითხი, აქტივობები, მისი ინტერესითაა შერჩეული;
- მოსწავლე საკუთარ თავს უსახავს მიზანს და ამ მიზნის მისაღწევად თავად ისწრაფვის;
- არ საჭიროებს წინა გამოცდილებას ან თემის სწავლას;
- სწავლა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ტემპით; [3]

კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე,როდესაც არ არსებობდა სპეციალიზირებული დაწესებულებები, ადამიანი უკვე იყენებდა სწავლების სხვადასხვა ფორმებს, რომელთა ნაწილი დღესაც არ არის მივიწყებული. თანამედროვე სამყაროშიც ადამიანს არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არამედ სხვა, ალტერნატიული გზითაც შეუძლია შეიძინოს ან

გააუმჯობესოს ცოდნა და უნარები, ვინაიდან სწავლების მხოლოდ ტრადიციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ზოგჯერ არ მიიღწევა სასურველი შედეგი.

ამ რეალობის გათვალისწინებით, იუნესკომ და მეცნიერების საერთაშორისო საბჭომ შემდეგი ფორმულირებით განსაზღვრეს შემეცნებითი აქტიურობის სახეობები: ფორმალური განათლება - არის განათლების ფორმა, რომელიც სტრუქტურირებულია სწავლების მიზნებისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით, მას ღებულობენ სასწავლო დაწესებულებებში და ის დასტურდება ოფიციალური სერტიფიკატით. არაფორმალური განათლება, რომელიც აგრეთვე სტრუქტურირებულია ოღონდ მიზნების მიხედვით, დასტურდება გარკვეული დოკუმენტით, მისი განხორციელება ხდება სხვადასხვა სასწავლო კურსების, ტრენინგების მეშვეობით. ინფორმალური განათლება - მიმდინარეობს ყოველდღიურად და დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, საზოგადოებრივ საქმიანობასთან, ან გართობა-დასვენებასთან, ის არ არის სტრუქტურირებული მიზნებისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით. მისი სპეციფიკა დიდწილად ემთხვევა ზრდასრული ადამიანის ცხოვრებისეულ ქმედებებს.

ანალიტიკოსების აზრით, ვინაიდან თანამედროვე ეპოქაში საზოგადოების განვითარების მოდელი ეფუძნება მართვის ახალ მიდგომებს, სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს, ინფორმატიზაციას, ინოვაციებს, ამიტომ სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ განათლების სისტემის მოდერნიზაციის აუცილებლობას და მიმართულებებს. მისი სრულყოფის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ სწავლების ორგანიზების ტრადიციული მიდგომები და ფორმები - ნაკლებად ეფექტურია იმის გამო, რომ მათი მიზანი იყო «განათლება - მთელი ცხოვრებისათვის» (ანუ, ცოდნა და უნარები - ერთი დიპლომის ფარგლებში). განათლების ახალ მოდელს კი უკვე საკმაო ხანია საფუძვლად დაედო საყოველთაოდ აღიარებული - ცხოვრების განმავლობაში სწავლების («LifelongLearning») სტრატეგია. [5]

იმავდროულად, რიგი ექსპერტის შეფასებით, განათლებაში სახელმწიფოს მხრიდან გადამეტებულად აქტიური ჩარევის შედეგად შეინიშნება მზარდი ბიუროკრატიზაციის ტენდენციები, რის გამოც განათლების ტრადიციული ფორმალური მოდელი არ შეესაბამება ახალ გამოწვევებს, სოციალურ

დინამიკასა და მოთხოვნილებებს. ადამიანის საქმიანობის აქტუალურ მიმართულებებში ინოვაციური ტექნოლოგიების შემოსვლის შედეგად და ცხოვრების ცვალებადი წესი პიროვნებას სულ უფრო აქტიურად უყენებენ პროფესიული მობილობის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრულყოფის მუდმივი განახლების აუცილებლობას.

ფორმალური განათლების პირობებში სწავლება ძირითადად კვლავ ეფუძნება მეცნიერების, ენების, ისტორიის, ხელოვნების საფუძვლების ტრანსლაციის პრინციპებს. ამავე დროს, ექსპერტთა აზრით, განათლების ალტერნატიული მოდელი - არაფორმალური განათლება, საზოგადოებრივი ან კერძო განათლების სახით, უზრუნველყოფს აქტუალური, რეალურად მოთხოვნილი ცოდნისა და უნარების მიწოდებას.

თავდაპირველად არაფორმალური განათლების განვითარება ევროპაში იდენტიფიცირებული იყო როგორც ინოვაცია. ამის გათვალისწინებით საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტის აზრით არაფორმალური განათლება წარმოადგენს განათლების ახალი როლის - "განათლება - მდგრადი განვითარებისთვის" მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და გარკვეულ წილად განსაზღვრავს განათლების ახალ პარადიგმას. სტრატეგიაში (Europe 2020 Strategy) ის მიჩნეულია მნიშვნელოვან კომპონენტად და მოიაზრება, როგორც მრავალსახოვანი, მოქნილი ორგანიზაციისა და ფორმების მქონე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული, აქტუალური საჭიროებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ინსტიტუციონალურ ფორმალურ განათლებასთან შედარებით ის უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტური არაინსტიტუციონალური ფორმაა, რომელიც იმავდროულად მოითხოვს ნაკლებ ფინანსურ რესურსებს. იუნესკოს მონაცემებით ყველაზე წარმატებულ ქვეყნებში დამატებითი (არაფორმალური) განათლებით უკვე მოცულია 25-64 წლის ასაკის 40%-ზე მეტი ადამიანი.[https://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=2237] [2], ანალიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ ამ პროცესს უდაოდ გააჩნია ზრდის ტენდენცია, ვინაიდან არაფორმალური განათლების სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ ის სისტემურია, ოღონდ თვით ადამიანი განსაზღვრავს მიზნებს, შედეგებსა და სწავლების ხანგრძლივობას და მიუხედავად იმისა, რომ შედეგი არ დასტურდება

სახელმწიფო ნიმუშის დოკუმენტით, მავანისათვის ის სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. ამის მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ არაფორმალური განათლება ფორმალურისაგან განსხვავდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ✓ კონკრეტულ მოთხოვნილებაზე მორგებული სწავლება;
- ✓ მყარი კავშირი პრაქტიკასთან (პრაქტიკული შრომითი უნარების დაუფლება, პროფესიული მომზადება უშუალოდ სამუშაო ადგილზე)
- ✓ მოქნილი პროგრამები, მეცადინეობის ცხრილები, ვარიატიული ჩატარების ადგილი და სწავლების საკმაო ინტენსიურობა.

არაფორმალური განათლების გააქტიურება აგრეთვე აიხსნება თანამედროვე ქსელური საინფორმაციო-კომუნიკატიური ტექნოლოგიების განვითარებით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სივრცის და დროის საზღვრების დაძლევა და ინფორმაციის მყისიერი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ანუ ინტერნეტის ქსელში ჩართვის მეშვეობით არაფორმალური განათლების მიღება შესაძლებელი გახდა ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს. აქტიურად ვითარდება მასიური ღია დისტანციური კურსების პლატფორმებიც (Coursera, EDX, Udacity და სხ.). ელექტრონული სწავლება (e-learning) ამჟამად უკვე აღიარებულია როგორც მომავლის განათლება.

იმავდროულად, ვირტუალური ინტერნეტ - რესურსების გარდა არაფორმალური განათლება აქტიურად იყენებს მრავალი სახის off-line ინსტრუმენტებს. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ სასწავლო კურსები, ტრენინგები, მასტერ-კლასები, მოკლევადიანი მომზადების ან კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები, ბიზნეს -კონფერენციები, ფორუმები და ა.შ. ოპონენტების გარკვეული ნაწილი კი ხაზს უსვამს ფორმალური და არაფორმალური (ინფორმალური) განათლების ინტეგრაციის მიზანშეწონილობას როგორც პიროვნების წარმატებული განვითარებისათვის საჭირო,მნიშვნელოვან პირობას. თუმცა, პასუხი კითხვაზე - თუ როგორ და რა ინსტრუმენტების გამოყენებით უნდა მოხდეს და შესაძლებელია სწავლების ამ

ფორმების არა დამანგრეველი, არამედ კონსტრუქციული, ეფექტური ინტეგრირება მცდელობების მიუხედავად ჯერჯერობით ღიად რჩება.

არაფორმალური განათლების მოწინააღმდეგები ხშირად აცხადებენ, რომ მას არ გააჩნია საკუთარი სტრუქტურა, რომ არაფორმალური სწავლების ზოგიერთი ფორმა არ აღწევს სასურველ შედეგს. პასუხად შეიძლება განუცხადოთ: არაფორმალური სწავლება ნამდვილად უნდა იყოს ეფექტური, მაგრამ ეს მიიღწევა მაშინ როდესაც სწავლების პროცესს გააჩნია საყრდენი სტრუქტურა, რომელიც თავის მხრივ, უნდა შეიცავდეს კონკრეტულ მიზნებს და რაც ეხმარება ყველა მონაწილეს. ამასთან აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ სწავლებაში უნდა ვიყენებდეთ მხოლოდ თანამედროვე და აქტუალურ ინფორმაციას.

საინტერესოა თუ როგორ აღიქვამენ არაფორმალურ განათლებას, მის როლს, ფუნქციებსა და შესაძლებლობებს ჩვენ ქვეყანაში? არსებული ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი სახელმწიფო ნაკლებად ითვალისწინებს და იყენებს მის პოტენციალს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალური პოლიტიკის რეალიზაციაში, მოსახლეობისათვის აქტუალური ცოდნისა და უნარების მიწოდებაში. ამავე დროს რიგი ექსპერტების აზრით, ჩვენი საზოგადოების ფუნქციონალური წიგნიერების დონე არ არის საკმარისი. და თუ დღეისათვის მეტ-ნაკლებად ვახერხებთ, მაგალითად, კომპიუტერული ცოდნის მიწოდებას, არასათანადო შედეგს ვაღწევთ სამართლებრივი, სამოქალაქო, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაში და სამუშაო ძალის სრულყოფილი პროფესიული კომპეტენციებით აღჭურვის საქმეში. https://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=2237 [2]

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ადამიანის პროფესიული ფორმირება და პიროვნული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციულად გაჯერებულ გარემოში, საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის ინფორმაციის მიღების და დამუშავების უნარი გახდა ძალზე მნიშვნელოვანი და ამ უნარის სწრაფად დაუფლების ხელშეწყობაში არაფორმალურ განათლებას მნიშნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

ყურადსაღებია, რომ მრავალ ქვეყანაში პრაგმატულად არის გადაწყვეტილი არაფორმალური განათლების აღიარების საკითხი და მას აქტიურად იყენებენ პრაქტიკაში. მაგალითად:

ფინეთში არაფორმალური სექტორის სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყანაში ზრდასრულთა განათლებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების 24% -ს შეადგენს. აგრეთვე მოქმედებს არაფორმალური ან / და ინფორმალური გზით მიღებული განათლების აღიარების სისტემა, რომელსაც სახელმწიფო მხარს უჭერს, აგრეთვე შექმნილია კვალიფიკაციის სრულყოფის დადასტურების შესაძლებლობაც.

საფრანგეთშიც არსებობს არაფორმალური სწავლის შედეგების დადასტურების (აღიარების) ტრადიცია. 2002 წელს მიიღეს კანონი "სოციალური მოდერნიზაციის შესახებ" და დაინერგა "გამოცდილების მეშვეობით მიღებული ცოდნის ვალიდაციის პრაქტიკა"(«Validation des Aquis de l'Expérience» (VAE). შეიქმნა არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, უზრუნველყოფილია მისი რეალიზაციის პირობები.

გერმანიაში, პროექტის Weiterbildungspass ("შემდგომი განათლების პასპორტი") ფარგლებში ხორციელდება არაფორმალური განათლების პირობებში შეძენილი კომპეტენციების შეფასება და დადასტურება. პროექტი Lernkultur Kompetenzentwicklung („ სწავლების კულტურის კომპეტენციების განვითარება") ორიენტირებულია პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესებასა და არაფორმალური სწავლების ეფექტურობის ამაღლებაზე. გერმანიაში ასევე არსებობს Nachweismappe Ehrenamt („მოხალისეს პორტფოლიო"). კომპეტენციების დადასტურებას Kompetenzbilanz პასპორტს გააჩნია მრავალ დონიანი შეფასების სისტემა.

ნიდერლანდებში არაფორმალური განათლების გავლის შედეგად შეძენილი კვალიფიკაციების დადასტურება ხდება შეფასების EVC (Erkenning Verworven Competenties) საკმაოდ ლიბერალური პროცედურის მეშვეობით.

დიდ ბრიტანეთში, არაფორმალური განათლების შედეგების აღიარების მარეგულირებელი ბაზის ჩამოყალიბება საკმაო ხნის წინ დაიწყო, რითაც დროულად მიღებულ იქნა პროფესიული განათლების

დეზინტეგრაციის გადალახვის ზომები. ეროვნული პროფესიული კვალიფიკაციების (NVQs) შემოღებამ უზრუნველყო მოდულური სისტემის ფორმირება, რომელიც წარმოადგენს სასკოლო განათლების ალტერნატივას და ეფუძნება პრაქტიკულ სწავლებას.

პრობლემების ჩამოთვლილი ქვეყნების მსგავსად მოგვარების კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტები, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური ინსტიტუტების და განათლების ფორმალური და არაფორმალური სფეროების ეფექტური ურთიერთქმედების ხელშეწყობა, საჭიროების შემთხვევაში მათი საქმიანობის სხვადასხვა სექტორში გამიჯვნაც, აგრეთვე არაფორმალური პროფესიული განათლების პოზიციების (ფუნქციების) სათანადო ასახვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ აქტებში. https://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=2237 [2].

ევროპის საბჭოს დოკუმენტებით განისაზღვრა არაფორმალური სწავლების მახასიათებლები, ნიშნები და პრინციპები.

- ✓ არაფორმალური სწავლება თავისი ხასიათით ნებაყოფლობითია.
- ✓ ხელმისაწვდომია ყველასთვის.
- ✓ მიიღწევა სხვადასხვა ადგილას და განსხვავებულ სიტუაციაში.
- ✓ წარმიადგენს პედაგოგიურ მიზნებთან დაკავშირებულ სასწავლო პროცესს.
- ✓ სთავაზობს ცხოვრების განმავლობაში სწავლების სხვა ნაწილებთან დაკავშირებულ დანამატს.
- ✓ წარადგენს კომპეტენციების უპირატესობებს ყოველდღიურ ცხოვრებასთან და აქტიურ მიქმედებასთან მიმართებაში.

„როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების კანონში წერია, უმაღლესი განათლების მთავარი მიზანია ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა; დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეებზე ორიენტაცია. პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი უმაღლესი განათლების მიღების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნლებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის

მქონე პირების მომზადება; შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება; სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება“. ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ფორმალური განათლების ფარგლებში გვთავაზობს ხარისხიანი აკადემიური პროგრამების ხელმისაწვდომობას, სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, აკადემიურ თავისუფლებას და რაც მთავარია, „უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

დღეს ჩვენს ქვეყანაში განათლებას გაცილებით დიდი ყურადღება ექცევა. სახელმწიფო აფინანსებს ბევრ საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის კომპეტენციის დამადასტურებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტერნინგებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამები, რომლებიც ქვეყნის მაღალმთიანი, მოსახლეობისაგან დაცლილი, ენობრივი ბარიერის მქონე ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების განვითარებაზეა ორიენტირებული.

აღსანიშნავია ის გარემოება რომ საქართველოში არაფორმალურ განათლებას მიიჩნევენ ფორმალური განათლების ალტერნატივად და ძალიან ცოტა თუ უყურებს ნდობით. ამის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ 12 წლიანი სასკოლო განათლების სისტემა, რომელიც მთლიანად ფორმალურ განათლებას ეფუძნება. მოსწავლე განსაზღვრულ ადგილას,განსაზღვრული დროის განმავლობაში იღებს ცოდნას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესახებ. ასრულებს მითითებულ დავალებებს და იღებს შეფასებას. ამგვარი ყოველდღიური პრაქტიკის შემდეგ რთულია თავისუფალ გარემოში საჯარო ლექციის მოსმენა ან ტრენინგ-კურსში ჩართვა, სადაც ხშირ შემთხვევაში არ არსებობს შეფასების სისტემა.

ფაქტია ის რომ არაფორმალური განათლების გზით გაცილებით სწრაფად ხდება პროფესიული ცოდნის მიღება და ცოდნის დაგროვება. ეს ყველაფერი კი ზუსტ თანხვედრაშია თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან.

მარი მჭედლიძის (სასკოლო კვლევის ცენტრი) [6] სტატიაში ვკითხულობთ, რომ სკოლის მთავარი დანიშნულება მოსწავლის აკადემიური და პიროვნული განვითარებაა. „მასწავლებელს მხოლოდ 45 წუთი აქვს იმისთვის, რომ გაკვეთილის თემა უმეტესისთვის გასაგები იყოს. გამოდის რომ დროის უმეტესი ნაწილი მოსწავლის აკადემიურ განვითარებას ეთმობა. ვფიქრობ, პრობლემა ის არის რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება თითქმის არ ხდება, ვგულისმობ საბაზო და საშუალო საფეხურებს, როდესაც მოსწავლეები თანდათანობით,მკვეთრად იცვლებიან და მნიშვნელოვანი ხდება მეგობრული ატმოსფეროს შექმნა განათლებისთვის,სადაც მოსწავლე არის შემსწავლელი და არა დაქვემდებარებული, ხოლო მასწავლებელი როგორც დამხმარე და არა ხელმძღვანელი. ხშირად მოსწავლეების ნაწილისთვის სამასწავლებლო ოთახი წარმოადგენს „უცხოპლანეტელების სამყოფელს“,სადაც შესვლა ნიშნავს , რომ დიდი დანაშაული ჩაიდინე, სადაც ფეხაკრეფით უნდა გაიარო,მის მოშორებით კი მეტად თავისუფლად ხართ. ასეთ არამეგობრულ გარემოს არაფორმალური განათლების არ არსებობა ან ნაკლებობა ქმნის. მგონია, როიმ როდესაც მოსწავლე არაფორმალური განათლების აქტივობებშია ჩართული,სადაც მასწავლებელიც ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა,მათ შორის ჩამოყალიბდება ურთიერთობა,რაც ასევე ხელს შეუწყობს აკადემიურ წინსვლას.“ მაგალითად, რა შეიძლება გაკეთდეს სკოლებში, არაფორმალური განათლების ფარგლებში,რაც ასევე დაეხმარება მოსწავლეს სწავლის გაგრძელებაში და ზოგადად თვითრეალიზებაში? ეს შეიძლება იყოს ტრენინგ- სემინარები ტოლერანტობის, კონფლიქტების მართვაზე, კარიერულ წინსვლაზე, სხვადასხვა მოხალისეობრივი სამსახური,ბანაკები და სხვა.

ესმა გუმბერიძის სტატიაში „არაფორმალური განათლების მნიშვნელობა“ ვკითხულობთ რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი არაფორმალური განათლება და ტრენინგებში, კონკურსებში, კონფერენციებში მონაწილეობა? პირველ რიგში,იმიტომ რომ სკოლა ვერ იქნება ძალიან დემოკრატიული და ვერც ე.წ. ცალობით, ანუ ინდივიდუალურ განათლებაზე ორიენტირებული.სკოლა ხომ სახელმწიფოს მიერ ფინანსდება,სახელმწიფოს რესურსები კი შეზღუდულია. შესაბამისად, მასწავლებელთა შედარებით მცირე ოდენობაზე ძალიან ბევრი მოსწავლე მოდის. ამის შესაბამისად მოსწავლეთა განათლება ძალაუნებურად,ინდუსტრიულად, კონვეერის წესით ხდება და მოხდება. არაფორმალური განათლების შემთხვევაში კი, როგორც წესი მონაწილეთა ოდენობა შეზღუდულია და მათზე პროპორციულად ყოველთვის უფრო მეტი მენტორი მოდის, ვიდრე -ფორმალური განათლების

ინსტიტუციაში. (სკოლა, პროფესიული სასწავლებლები,უნივერსიტეტი და ა.შ.) შესაბამისად ცალკეულ მოსწავლეს უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. ამასთან სასკოლო კლასები ძალზედ არაჰომოგენურია, იქ მყოფ მოსწავლეებს ძალზედ განსხვავებული ინტერესები,შესაძლებლობები, საცხოვრებელი/სოციალური გარემო აქვთ. შესაბამისად, მასწავლებელს უწევს გაკვეთილი ყველასთვის მისაწვდომად, მისაწვდომ დონეზე წარმართოს, რა დროსაც რთულია ყველა მოსწავლისთვის იმის ინდივიდუალურად მიცემა,რაც მას სჭირდება და რისი ათვისებაც შეუძლია.

არაფორმალური განათლების დროს კონკრეტულ ღონისძიებაზე მოდიან კონკრეტული საკითხით დაიტერესებული მონაწილეები, რომლებსაც ამ საკითხის/უნარის დაუფლების უფრო მეტი მოტივაცია აქვთ. შესაბამისად არაფორმალური განათლების ჯგუფები უფრო ჰომოგენურია საჯარო სკოლებთან შედარებით და იქ უფროა შესაძლებელი ტრენინგის მორგება ინდივიდ მონაწილეთა საჭიროებებზე. ამასთან ,ვინაიდან საშუალო განათლება სავალდებულოა, მასწავლებელს/სკოლას, გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, არ შეუძლიათ იმ მოსწავლის სკოლიდან/გაკვეთილიდან გაშვება და თავიდან მოშორება, რომელსაც გარკვეული საგნის/დისციპლინის ან საერთოდ სკოლაში სწავლა არ უნდა. არაფორმალური განათლების პირობებში, ვინაიდან ის მონაწილეთა ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, მონაწილეებსაც თავისუფლად შეუძლიათ მასში მონაწილეობის შეწყვეტა თუკი მოტივაცია აღარ ექნებათ და ღონისძიების წარმართველებსაც შეუძლიათ მონაწილის პროექტიდან გაშვება.შესაბამისად არაფორმალური განათლების ღონისძიებებში რჩებიან ძირითადად მხოლოდ ჭეშმარიტად ნამდვილად დაინტერესებული ადამიანები. მითუმეტესს, რომ საჯარო სკოლებიდან განსხვავებით, სადაც ნებისმიერი მოსწავლე ყოველგვარი კონკურსის, უნარებისა და მოტივაციის დასაბუთების გარეშე იღებენ. არაფორმალური განათლების ინსტიტუციები მონაწილეებს არჩევენ საკონკურსო წესით, შესაბამისად ყოველ პროექტზე „რჩეულნი“ ხვდებიან, რომელთაც ამ რჩეულობის განცდისა და პროექტში მონაწილეობისთვის გაღებული ძალისხმევის გამო მოტივაცია კიდევ უფრო ეზრდებათ და პროექტში მონაწილეობას კიდევ უფრო აფასებენ“

კვლევები ცხადყოფენ,რომ მასწავლებელთა დიდ ნაწილს რომელიც მაღალ ასაკობრივ კატეგორიაშია, არ აქვს ციფრულ-ტექნოლოგიური უნარები,შესაბამისად ეს ჯგუფი მოკლებულია ინ ინფრომაციულ სიკეთეებს რომელიც ამ კომპეტენციების არსებობის შემთხვევაში უნდა მიეღოთ და გაევრცელებინათ.

საბოლოოდ, გამოდის რომ თუნდაც სასკოლო რეალობაში, მოსწავლემ იცის რა მოხდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 1921 წელს,თუმცა ამ საკითხზე მასწავლებლისგან არ სმენია თანამედროვე ისტორიკოსების, მეცნიერების მოსაზრებები.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის როლი ზრდასულთა განათლების საქმეში უდიდესია, ვერავინ უარყოფს არაფორმალური განათლების მნისვნელობას, მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით.

2004 წლიდან , საქართველოში განათლების საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩაერთო „ზრდასულთა განათლების ასოციაცია“, რომლის მთავარ მიზანსაც არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და „აქტიური მოქალაქის“ კონცეფციის პოპულარიზაცია წარმოადგენს. არაფორმალური განათლების მიღება საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში ან მის მიღმაა შესაძლებელი. შესაძლებელია არაფორმალური განათლების ფარგლებში ახალ სპეციალობასაც დაეუფლოთ, თუმცა ჯერჯერობით ვერ შეძლებთ კომპეტენციის დამადასტურებელი ოფიციალური სერტიფიკატის მიღებას. ამ მიზეზით, ხშირად ადამიანები არიდებენ თავს თვითგანვითარებასა და პროფესიული წინსვლისთვის სასარგებლო შეხვედრებზე დასწრებას.

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ იცის, რომ 2011 წლიდან ძალაში შევიდა განათლების მინისტრის ბრძანება არაფორმალური, პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე. „ არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება ატესტაციის გავლის შედეგად.რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღიარებს არაფორმალურ განათლებას სახელობო განათლების დონეზე“-თუმცა ისიც უნდა ითქვას რომ მიღებული დოკუმენტი ნაკლებად გამოიყენება პრაქტიკაში,,რადგან ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი ხედვა არაფორმალური განათლების შესახებ. [7]

თავი III

კვლევის დიზაინი და კვლევის მეთოდები

3.1.ძირითადი საკვლევი კითხვა :

კოლეგებთან თანამშრომლობა და მათი ჩარვთა არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორცილებულ აქტივობებში გამოწვევს თუ არა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა დაინტერესებას და ჩართულობას საბუნებისმეტყველო საგნებისა და არა მხოლოდ ამ საგნების მიმართ? ხელი შეეწყობა თუ არა სკოლის ბაზაზე არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას?

ქვეკითხვები:

- ✓ არსებობს თუ არა სკოლაში კოლეგებს შორის პრაქტიკის გაზიარების კულტურა?
- ✓ საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან იგეგმება თუ არა ინტეგრირებული, არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობები?
- ✓ უკავშირებენ თუ არა კოლეგები ფორმალურ განათლებას ეროვნულ სასწავლო გეგმას?
- ✓ რამდენად უწყობს ხელს ფორმალური განათლება იმას, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ერთობლივად იმუშაონ არაფორმალურ გარემოში?
- ✓ ხდება თუ არა კოლეგების მხრიდან არაფორმალური განათლების მნიშვნელობის გააზრება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის?
- ✓ რა არის საჭირო იმისათვის, რომ სკოლაში განვავითაროთ არაფორმალური განათლება?
- ✓ ითანამშრომლებენ თუ არა კოლეგები ამ მიმართულებით?
- ✓ არსებობს თუ არა სკოლის ბაზაზე არაფორმალური განათლების მიმართულების ხელშემწყობი ინტელექტუალური,ფიზიკური და მატერიალური გარემო?
- ✓ შეუწყობს თუ არა ხელს არაფორმალური განათლების გააქტიურება სკოლის შიგა საგანმანათლებლო ინიციატივების დამკვიდრებას? (ქიმიის კლუბი, სასკოლო პროეტები, საერთაშორისო პროექტები, საინფორმაციო შეხვედრები,გასვლითი არაფორმალური გაკვეთილები და.ა.შ.)

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფების შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო (VIII,IX) და საშუალო (Xა, Xბ ,XI) საფეხურის მოსწავლეები; მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

3.3. კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის მიმდინარეობისას, გამოვიყენე როგორც **თვისობრივი** (ჩართული-ფოკუსირებული დაკვირვება- მასწავლებლებისთვის) და **რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები. (წერილობითი გამოკითხვა-ანკეტირება მოსწავლეებისთვის).

3.4 შერჩევა

კვლევის შერჩევის გათვალისწინებით [1] რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლიდან 60 მოსწავლემ, საბაზო-საშუალო საფეხურის 19 მასწავლებლიდან 15-მა მასწავლებელმა და 2-მა ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

კვლევის საწყის ეტაპზე გავეცანი სკოლის საბაზო-საშულაო საფეხურისათვის არაფორმალური განათლების მიმართულებით რაოდენობრივ მახასიათებელს. შევამჩიე, რომ ნაკლებად იგეგმებოდა ერთობლივი პროექტები, გასვლითი და საველე გაკვეთილები სხვადასხვა ობიექტებზე, მოსწავლეთა მონაწილეობა კონფერენციებში, არ ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა აქტუალურ თემებზე და ა.შ. ასევე, არ შეიმჩნეოდა მასწავლებელთა შორის არც შიდა კათედრული და არც კათედრათშორის თანამშრომლობა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების შესწავლით მიზნით ერთ-ერთ თვისობრივ კვლევის ინსტრუმენტად ფოკუსირებული დაკვირვება შევარჩიე მასწავლებლებთან. ამ მიზნით დავგეგმე ჯგუფური ინტერვიუ პედაგოგთა ჯგუფთან, რისთვისაც წინასწარ შევარჩიე კითხვები. (დანართი 2).

მომდევნო ეტაპზე ჩემს მიერ შედგენილი კითხვარებით მოვახდინე რაოდენობრივი ანკეტირება საბაზო-საშუალო მოსწავლეებთან. (60 მოსწავლე),რათა მოსწავლეებიდან გამეგო და დაესახელებინათ ის სირთულეები , რომლებიც მათი აზრით,ხელისშემშლელია იმისთვის, რომ ჩაერთონ არაფორმალურ განათლების აქტივობებში.(დანართი. 3)

3.5 კვლევის ვადები

სკოლის საჭიროების კვლევა დაიგეგმა და განხორციელდა 2022-2023 სასწავლო წლის I-II სემესტრში (10 სექტემბერი- 10 მაისი).

3.6. მონაცემთა შეგროვება

საჭიროდ მივიჩნიე, გამომეკვლია ის მიზეზები,რაც ჩემი აზრით, აფერხებდა მასწავლებლების მხრიდან არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას და განხორციელებას. კვლევის მეთოდებად გამოვიყენე როგორც თვისობრივი,ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კერძოდ, სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან გამოვიყენე **ჩაღრმავებული ინტერვიუ.** სკოლის პედაგოგებთან ინტერვიურებისთვის **ფოკუს-ჯგუფი,** ხოლო მოსწავლეებთან **რაოდენობრივი ანეტირებისთვის**-კითხვარები.

IV თავი

მონაცემთა ანალიზი

4.1.მონაცემთა ანალიზი

კვლევის საწყის ეტაპზე შევარჩიე **ფოკუს -ჯგუფი** მასწავლებლებთან,რომლის მიზანს წარმოადგენდა, დამედგინა მათი შეხედულებები და მოსაზრებები არაფორმალური განათლების შესახებ. ერთობლივად გვემსჯელა აღნიშნულ პრობლემების შესახებ და მათი მოგვარების სავარაუდო გზებზე. ყველა მონაწილეს ქონდა საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება.

სადისკუსიო თემის შეკითხები იყო ასეთი:

1. იცნობთ,რა არის არაფორმალური განათლებას?
2. რა როლი აქვს არაფორმალურ განათლებას სწავლა-სწავლების პროცესში?
3. როგორია თქვენი დამოკიდებულება არაფორმალური განათლებისადმი?
4. რამდენად ხშირად იყენებთ არაფორმალური განათლების აქტივობებს?
5. რა არის არაფორმალური განათლების გამოყენების ხელსშემშლელი ფაქტორი?/ფაქტორები?
6. რა არის ხელისშემყობი ფაქტორი არაფორმალური განათლების განხორციელებისათვის?
7. შეუწყობს თუ არა ხელს არაფორმალური განათლების ინტეგრირება ფორმალური სწავლების გაუმჯობესებას?
8. თქვენი აზრით, კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობა და არაფორმალური განათლების გაძლეიერება გამოიწვევს თუ არა სკიოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას? სკოლის საერთო შედეგების გაუმჯობესებას?

ფოკუს -ჯგუფთან დისკუსიის მონაცემთა ანალიზმა აჩვენა რომ და პედაგოგთა უმრავლესობა ამ ტიპის აქტივობებს ამ ეტაპზე არ გეგმავდა ,ვინაიდან ასეთი ტიპის აქტივობები მოითხოვს დიდ დროს. ასევე სხვადასხვა რესურსს, მოსწავლეთა ინტერესს. გასვლითი,არაფორმალური გაკვეთილების

განხორციელებისას ძალზედ საპასუხისმგებლოა და ძნელი სამართავი მოსწავლეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. ამისთვის არც წახალისება არ ხდება. ასევე, არ არის ოფიციალური მოთხოვნა განათლების სამინისტროს მხრიდან. გარდა ამისა, მშობელთა დამოკიდებულებაც ზერელეა არაფორმალური განათლების მიმართ,რადგან ვერ ხვდებიან რაში გამოადგებათ მათ შვილებს. არ არსებობს ტრენინგ-კურსები არაფორმალური განათლების მიმართულებით როგორც მშობელთათვის, ისე პედაგოგებისთვის,რათა გაგვეზიარებინა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და გამოცდილება არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლის ინფრასტრუქტურა არც კი იძლევა იმის საშუალებას, გამოიყოს ფართი საკლუბო მუშაობისთვის.

ჩემი კვლევის მთავარი მიზნიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიე, მიმეღო ინფორმაცია **სკოლის დირექციის წარმომადგენლებიდანაც,** თუ რას ფიქრობდნენ არაფორმალური განათლების როლის შესახებ,რისთვისაც გამოვიყენე ***ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი*** და ავიღე ინტერვიუ წინასწარ მომწადებული შეკითხვების გამოყენებით. ინტერვიურების მიზანს წარმოადგენდა დირექციის წარმომადგენლებიდან პასუხები კვლევისთვის საჭირო ისეთ შეკითხვებზე,როგორიცაა:

- ✓ არსებობს თუ არა სკოლაში კოლეგებს შორის პრაქტიკის გაზიარების კულტურა?
- ✓ რამდენად უწყობს ხელს ფორმალური განათლება იმას, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ერთობლივად იმუშაონ არაფორმალურ გარემოში?
- ✓ ხდება თუ არა კოლეგების მხრიდან არაფორმალური განათლების მნიშვნელობის გააზრება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში?
- ✓ რა არის საჭირო იმისათვის, რომ განვავითაროთ არაფორმალური განათლება?
- ✓ არსებობს თუ არა სკოლის ბაზაზე არაფორმალური განათლების მიმართულების ხელშემწყობი ინტელექტუალური,ფიზიკური და მატერიალური გარემო?
- ✓ შეუწყობს თუ არა ხელს არაფორმალური განათლების გააქტიურება სკოლის შიგა საგანმანათლებლო ინიციატივების დამკვიდრებას? (ქიმიის კლუბი, სასკოლო პროეტები, საერთაშორისო პროექტები,საინფორმაციო შეხვედრები,გასვლითი არაფორმალური გაკვეთილები და.ა.შ.)

9. თქვენი აზრით, კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობა და არაფორმალური განათლების გაძლეიერება გამოიწვევს თუ არა სკიოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას? სკოლის საერთო შედეგების გაუმჯობესებას?

ინტერვიუმ სკოლის დირექციასთამ საშუალება მომცა განმესაზღვრა მისი დამოკიდებულება მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესში, არაფრომალური განათლების შესაბამისი აქტივობების შესახებ. მისი აზრით, არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორები შესაძლოა იყოს: მასწავლებელთა არასათანადო ცოდნა; დროის დეფიციტი. დირრექციის აზრით, ამ პრობლემის მოგვარების სავარაუდო გზად შესაძლოა გამოდგეს: სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა; ხელის შეწყობა სკოლაში კოლეგებს შორის ურთიერთთანამშრომლობითი გარემოს გასაუმჯობესებლად; პოპულარიზაციის მეტად გაწევა არაფორმალური განათლების მიმართულებით.ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურა,ისიც რომ სკოლის ხელშეწყობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

მოსწავლეთა გამოკითხვა -დიაგნოსტიკური ანკეტირება.

დიაგნოსტიკური ანკეტირების მიზანს წარმოადგენდა დამედგინა მოსწავლეთა აზრი არაფორმალური განათლების შესახებ და მიმეღო ისეთ შეკითხვებზე პასუხები, როგორიცაა:

- ✓ მიგიღიათ მონაწილეობა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში?
- ✓ როგორ ფიქრობთ, რატომ არის საჭირო არაფორმალური განათლება სკოლაში?
- ✓ როგორ ფიქრობთ, სად ხდება არაფორმალური განათლების მიღება უმეტესწილად?
- ✓ რას ფიქრობთ, არაფორმალურ აქტივობებში ჩართულობისას, თქვენი მოტივაცია უფრო მაღალია თუ უფრო დაბალი?
- ✓ შემოთავაზების შემთხვევაში, რომელ არაფორმალურ აქტივობებში მიიღებდით მონაწილეობას?
- ✓ არაფორმალური განათლების აქტივობები ჩემი ინტერესის სფეროა?
- ✓ არაფორმალური განათლების აქტივობები სკოლაში ხელმისაწვდომია?
- ✓ სკოლის მიერ შემოთავაზებული არაფორმალური აქტივობები არის მრავალფეროვანი?

- ✓ სკოლის მიერ შემოთავაზებული არაფორმალური განათლების აქტივობები არის გამოსადეგი?
- ✓ მე თვალყურს ვადევნებ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი არაფორმალური აქტივობების შესახებ.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მისაღებად შევადგინე ანონიმური ანკეტა-კითხვარები. (დანართი 3.) დიაგნოსტიკურ ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო საბაზო -საშუალო საფეხურის 60-მა მოსწავლემ. რაოდენობრივი ანკეტირების შედეგები მოცემულია დიაგრამებში.

4.2. მოსწავლეთა გამოკითხვა -ანკეტირება

1. რომელი კლასის მოსწავლე ხართ? პასუხი გასცა ყველა გამოკითხულმა. (60 მოსწვალე)

მე-8ა კლასი: 18 მოსწავლე

მე-9 კლასი: 7 მოსწავლე

მე-10ა კლასი:15 მოსწავლე

მე-10 ბ კლასი: 15 მოსწავლე

მე-11 კლასი: 5 მოსწავლე

2. მიგიღიათ მონაწილეობა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში? (საკლუბო მუშაობა, პროექტ-გაკვეთილები, კონფერენცია, სემინარი, გასვლითი გაკვეთილები და სხვა)



როგორც დიაგრამიდან ჩანს,გამოკითხული 60 მოსწავლიდან 28 მოსწავლეს მონაწილეობა მიუღია სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ განხორციელებულ არაფორმალური აქტივობებში. 32 მოსწავლე კი აფიქსირებს აზრს რომ არ მიუღია მონაწილეობა მსგავსს აქტივობებში.

3. მონიშნეთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ რომელ არაფორმალურ აქტივობებში მიგიღიათ მონაწილეობა? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)



როგორც დიაგრამიდან ირკვევა, გამოკითხულ მოსწავლეთა 45%-ს მონაწილეობა მიუღია გასვლით, არაფორმალურ გაკვეთილებში; მოსწავლეთა 55% კი მონაწილეობდა პროექტ-გაკვეთილებში. არცერთ მოსწავლეს არ მიუღია მონაწილეობა საინფორმაციო სემინარებში, მოსწავლეთა კონფერენციებში,საკლუბო საქმიანობაში, არ უთანამშრომლია რომელიმე უნივერსიტეტთან. არ მიუღია მონაწილეობა საველე გაკვეთილებში.

4. როგორ ფიქრობთ, რატომ არის საჭირო არაფორმალური განათლება სკოლაში? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)



კითხვაზე,რატომ არის საჭირო არაფორმალური განათლება სკოლაში,მოსწავლეთა პასუხები გამოიყურება ასე:

5. არაფორმალური განათლების მიღება უმეტესწილად ხდება: გამოკითხულ მოსწავლეთა 24%-ის აზრით ამ ტიპის სწავლება ხელს უწყობს ფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის დაკავშირებას პრაქტიკასთან. 18%-ის აზრით ამ ტიპის სწავლება საინტერესო და სახალისოა.16 %-ი ფიქრობს რომ არაფორმალური განათლება რთული მასალის მარტივად შესწავლის კარგი საშუალებაა. მოსწავლეთა 15 % მიიჩნევს რომ სოციალური უნარების განვითარების საუკეთესო საშუალებაა. 10% -ის აზრით არაფორმალური განათლება კომუნიკაციის კარგი საშუალებაა. ასევე, მოსწავლეთა 10% -ფიქრობს რომ ამ ტიპის სწავლება ზრდის მათ თავდაჯერებულობას. 7% -კი ასახელებს სხვადასხვა მიზეზს.



კითხვაზე, თუ სად ხორციელდება არაფორმალური განათლება? მოსწავლეთა 70% ფიქრობს რომ ხორციელდება სასკოლო კლუბების,გასვლითი ღონისძიებების და სემინარების განხორციელებისას. 30% ის აზრით, არაფრომალური განათლება საკლასო სივრცეში- გაკვეთილზე ხდება.

6. რას ფიქრობთ, აქტივობებში ჩართულობისას, თქვენი მოტივაცია უფრო მაღალია როდის?



კითხვაზე, სად უფრო მოტივირებულად გრძნობენ თავს მოსწავლეები, 70% -ი აფიქსირებს რომ უფრო მოტივირებულად გრძნობენ თავს არაფორმალური განათლების მიღების დროს, ხოლო 30% ის აზრით მათი მოტივაცია უფრო მაღალია ფორმალური განათლების მირების დროს.

7. შემოთავაზების შემთხვევაში, რომელ არაფორმალურ აქტივობებში მიიღებდი მონაწილეობას? (შეგიძლია მონიშნო რამდენიმე პასუხი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, შეთავაზების შემთხვევაში, მოსწავლეთა უმრავლესობა 25% უპირატესობას ანიჭებს გასვლით,არაფორმალურ გაკვეთილებს; 18% -ის აზრით საინფრომაციო სემინარებში მონაწილეობა ურჩევნია; 15% -ს მოსწონს კლუბური საქმიანობები; 12-12 % მიიჩნევს რომ სურთ პროექტ-გაკვეთილებში მონაწილეობა და თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან. 10%-ს მოსწონს საველე გაკვეთილები, ხოლო 8%-ს სურს მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა კონფერენციებში. როგორც დიაგრამის ანალიზიდან იკევეთება მოსწვალეებს სურთ დაკავდნენ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებში.

8. მიეცით რეკომენდაცია თქვენს სკოლას მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ღია კითხვაზე, თუ რა რეკომენდაციას მისცემენ მოსწავლეები სკოლას იმისათვის რომ გააქტიურდეს სკოლაში არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობები არის შემდეგი: მათ სურთ სკოლაში მეტად ტარდებოდეს საინფორმაციო სემინარები მათთვის საინტერესო თემებზე; სურთ სკოლაში იარსებოს სხვადასხვა საგნებში სასწავლო კლუბებმა.გამოხატავენ მზაობას დაიგეგმოს და მოანწილეობა მიიღონ გასვლით, არაფორმალურ ღონისძიებებში სხვადასხვა საწარმოსა და ობიექტებზე. სურთ მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში, საველე გაკვეთილებში და აქტიურად ითანამშრომლონ უნივერსიტეტებთან. გაკვეთილები ტარდებოდეს უფრო მეტად არაფორმალურ გარემოში.

9. არაფორმალური განათლების აქტივობები ჩემი ინტერესის სფეროა.



კითხვაზე, **„არაფორმალური განათლების აქტივობები ჩემი ინტერესის სფეროა“** მოსწავლეთა პასუხები ასეთია: გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა ანუ 83 % აფიქსირებს რომ სრულად ეთანხმება და იზიარებს ამ აზრს. 8% -ი სრულად ეთანხმება. 5% ნაწილობრივ ეთანხმება; 2%- არ

ეთანხმება; 2% სრულებით არ ეთანხმება. როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, მოსწავლეებისთვის საინტერესოა არაფორმალური განათლება.

10. არაფორმალური განათლების აქტივობები სკოლაში ხელმისაწვდომია



კითხვაზე: **„არაფორმალური განათლების გაკვეთილები სკოლაში ხელმისაწვდომია“** მოსწავლეთა 58 % -ი ეთანხმება რომ ეს ასეა- სკოლაში ხელმისაწვდომია ამ ტიპის განათლება. 22 % ნაწილობრივ ეთანხმება ამ შეხედულებას. გამოკითხულ მოსწავლეთა 12% -ი სრულად ეთანხმება. 5%- აფიქსირებს რომ არ ეთანხმება სკოლაში არაფორმალუირ განათლების ხელმისაწვდომობას. ხოლო 3% სრულებით არ ეთანხმება შეკითხვას.

11. სკოლის მიერ შემოთავაზებული არაფორმალური აქტივობები არის მრავალფეროვანი



კითხვაზე: „ **სკოლის მიერ შემოთავაზებული არაფორმალური აქტივობები არის მრავალფეროვანი“?** მოსწავლეთა პასუხები არის შემდეგი: გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა 44% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ისინი ფიქრობენ რომ სკოლა მათ არ სთავაზობს მრავალფეროვან არაფორმალურ აქტივობებს. 27% -ი მოსწავლეების სრულად არ ეთანხმება. მოსწავლეთა 13% ნაწილობრივ ეთანხმება. 13% ეთანხმება. ხოლო 3% სრულად ეთანხმება.

12. მე ვუზიარებ ინფორმაციას ჩემს თანატოლებსა და მეგობრებს იმ არაფორმალური აქტივობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მივიღე.



კითხვაზე: **„მე ვუზიარებ ინფორმაციას ჩემს თანატოლებსა და მეგობრებს იმ არაფორმალური აქტივობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მივიღე“** მოსწავლეთა 77% ეთანხმება შეკითხვას. რომ ისინი უზიარებენ თანატოლებს იმ არაფორმალური განათლების სესახებ ინფორმაციას, რომელშიც მიიღეს მონაწილოება. 10% ნაწილობრივ ეთანხმება. 7% არ ეთანხმება. 3% სრულად არ ეთანხმება; 3% სრულად ეთანხმება.

13. მე თვალყურს ვადევნებ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი არაფორმალური აქტივობების შესახებ



14. კითხვაზე: " **მე თვალყურს ვადევნებ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი არაფორმალური აქტივობების შესახებ"** მოსწავლეთა 67% ეთანხმება, რომ თვალყურს ადევნებს სკოლაში დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობების შესახებ სიახლეებს; 20 % ნაწილობრივ ეთანხმება და აფიქსირებს იმ აზრს რომ ნაწილობრივ ადევნებს თვალყურს სკოლაში დაგეგმილ არაფორმალურ აქტივობებს. 5% სრულებით ეთანხმება; 5%არ ეთანხმება. ხოლო 3% სრულებით არ ეთანხმება.

4.3. ძირითადი დასკვნები

კვლევის მოცემული შედეგების ანალიზიდან ჩანს რომ მოსწავლეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არაფორმალური განათლება საინტერესო, სახალისოა და რომ ის ხელს შეუწყობს ფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას . როგორც ანალიზიდან ჩანს მოსწავლეები ძირითადად მონაწილეობას პროექტ-გაკვეთილებში იღებენ. იშვიათად ერთვებიან საინფორმაციო სემინარებში. გამოკითხულ მოსწავლეთა ანკეტირებიდან ირკვევა რომ 60 მოსწავლიდან არცერთს არ აქვს კლუბური მუშაობის გამოცდილება, არცერთს უთანამშრომლია უნივერსიტეტებთან, არცერთ

მათგანს არ მიუღია მონაწილეობა მოსწავლეთა კონფერენციებში და საერთაშიროსო პროექტებში, მაგალითად: eTwinning-ში.

4.4. კვლევის ძირითადი მიგნებები

1. არაფორმალური აქტივობების სიმცირე.

2. მასწავლებელთა დროის დეფიციტი.

3. რესურსების სიმცირე.

4. მატერიალურ -ტექნიკური ბაზის სიმცირე.

თავი V

ინტერვენციების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ეტაპები

5.1 ინტერვენციების დაგეგმვა

კვლევის ფარგლებში,სკოლაში განხორციელებული დაკვირვების მეთოდების საშუალებით, ასევე, მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებზე დაყრდნობით, დავგეგმე შემდეგი ინტერვენციები.

1. სამოქმედო გეგმის შედგენა.
2. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან საინფორმაციო სემინარის ჩატარება არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით.

3. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ერთობლივი ვიზიტი საქართველოს პარლამენტში.
4. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართვა და აქტიური მონაწილეობა ეკოსკოლების საერთაშორისო პროექტში.
5. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართვა ნიკო კეცხოველის სასკოლო პროექტში და აქტიური მონაწილეობა.
6. სტუმრის/სტუმრების მოწვევა სკოლაში და ცნობიერების ასამაღლებელი სემინარების ჩატარება ისეთ თემებზე , როგორიცაა:
   - ✓ „ჩემი ფინანსური გაკვეთილი“ (ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტის უფროსი-ბატონი ლაშა გზირიშვილის ვიზიტი)
   - ✓ „პირველადი სამედიცინო დახმარება“ (რკინიგზის საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების უფროსი ექთნის -აისელ აჯალიევას ვიზიტი და მასტერკლასი)
   - ✓ „ჩემი იურიდიული უფლება“ (იურისტის-ქალბატონ ლენა გოჯაევას ვიზიტი).
7. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი ქალაქ რუსთავის პლასტმასების გადამამუშავებლ საწარმოში.პოლივიმილი.
8. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტში. საბავშვო უნივერსიტეტში.
9. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი სოფელ სართიჭალაში, შ.პ.ს. „ჩირინას“ მეფრინველეობის საწარმოში.
10. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი სოფელ სართიჭალაში, შ.პ.ს. „ჩირინას“ ზეთის გამოსახდელ საწარმოში.
11. საბაზო- საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო სასამართლო ეროვნულ ბიუროში.
12. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი საწარმო „ავერსი-რაციონალში“.
13. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი თბილისის ღრმაღელეს წყალმომარაგების კომპანია „ჯივიპი“-ში.

14. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი ქალაქ რუსთავში, კომპანია „ტენეს აქციაზე“.
15. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწვალეთა ვიზიტი თბილისის ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო ლექციაზე.
16. საშუალო საფეხურის მოსწვლეთა ვიზიტი თბილისის 45-ე საჯარო სკოლაში.
17. საბაზო-საშაულო საფეხურის მოსწავლეთა გაწევრიანება და აქტიური მონაწილეობა ქიმიის კლუბის საქმიანობებში.
18. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობა თბილისში, სეუ-ში გამართულ მოსწავლე-მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციაში, როგორც მომხსენებლები.
19. საშუალო საფხეურის მოსწავლეთა ჩართვა და მონაწილეობა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში ჩემს მიერ განხორციელებული მოსწავლეთა და მასწავლეებლთა ერთობლივ კონფერენციაში.
20. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართვა პროგრამა eTwinning-ში და აქტიური მონაწილეობა.
21. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიერ თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „დამიხატე რამე ქიმიური“ მონაწილეობა.
22. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობა სოციალურ პროექტში: „ერთი კარტოფილის აქცია“.
23. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობა სოციალური პროექტი: „ჰუმანიტარული აქცია“ , რომელიც განხორციელდა თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად.
24. სკოლაში ინტეგრირებული ღონისძიების ჩატარება და საბაზო -საშუალო საფეხურის აქტიური მონაწილება,
25. ბელურების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასკოლო კონკურსში საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობა ეგიდით: „შექმენი ყველაზე ლამაზი საკვებური“.
26. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლაში განხორციელებულ საინფორმაციო სემინარებში-თემებზე:

- ✓ „მედიაწიგნიერება“
- ✓ შინაური ცხოველები“
- ✓ „ნაადრევი ქორწინება“
- ✓ „ბიომრავალფეროვნება“
- ✓ „მშვიდობა და სამართლიანობა“
- ✓ „ადამიანის უფლებები“
- ✓ „გენდერული თანასწორობა“
- ✓ „არ ისროლო ფეიერვერკი“
- ✓ „კლიმატის ცვლილება“
- ✓ „დედამიწის ეკოსისტემები“
- ✓ „მტკნარი წყალი“
- ✓ „სიღარიბე და უმუშევრობა“

27. კვლევის მიმდინარეობისას კვლევის მონაწილე მასწავლებლებზე დაკვირვება და კვლევის დასასრულს მოსწავლეთა ინტერვიურება განხორციელებული ინტერვენციების შედეგების შეფასებისთვის.

ინტერვენცია N1 . სამოქმედო გეგმის შედგენა. კვლევის პერიოდში სისტემატურად დაგეგმვა იმ აქტივობებისა და ღონისძიებების, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევდა კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაში.

მიზანი: განსახორციელებელი ინტერვენციების დაგეგმვა.

აღწერა: კვლევის მიმდინარეობისას კოლეგები ერთობლივად მუდმივად ვგეგმავდი იმ აქტივობებს,რომელიც დახმარებას გაგვიწევდა როგორც მე,ისე ჩემს კოლეგებს კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრაში. ამისათვის წინასწარ ვსაზღვრავდი ინტერვენციების ჩატარების დროს ,ადგილს,რესურსს,ვთანამშრომლობდი სკოლის დირექციასთან, კოლეგებთან და ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დირექციასთან, სხვადასხვა ობიექტის წარმომადგენლებთან, როგორ რაიონულ ისე ქალაქის მასშტაბით.

ინტერვენცია N2 სემინარის ჩატარება კოლეგებთან არაფორმალური განათლებისა და სწავლების შესახებ.

მიზანი: არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა სკოლაში.

აღწერა: სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან ერთობლივი შეთანხმებით მოვაწყვე საინფორმაციო სემინარი,თემაზე: „არაფორმალური განათლება“. სადაც ვისაუბრეთ არაფორმალური განათლების მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე. აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანია ფორმალურ განათლებასთან ერთად მხარი დაეჭიროს არაფორმალური განათლების აქტუალიზებასა და მის ინტეგრირებას ფორმალურ განათლებაში. კოლეგებმა ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ მნიშვნელოვანია მოზარდი -მისი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში სრულყოფილი ინტეგრაციისთვის , ჩაერთოს სხვადასხვა არაფორმალურ სწავლებებში,ტრენინგ-სემინარებში, კონფერენციებში,საჯარო ლექცია-სემინარებში,შეიძინოს ახალი კონტაქტები. ამისთვის კი ჩვენ უნდა შევძლოთ მოსწავლეს მივაწოდოთ ცოდნა ისე,რომ მან საკუთარი არჩევანის გაკეთება შეძლოს დამოუკიდებლად,ისე რომ შეძლოს მთავარი და მეორეხარისხოვანის გამორჩევა. ამაში კი დაგვეხმარება არაფორმალური განათლების ინტეგრირება ფორმალურ სწავლებაში.

ინტერვენცია N3. მოსწავლეთა გასვლითი, არაფორმალური გაკვეთილი ქალაქ თბილისში, საწარმო „ავერსი-რაციონალში“.

მიზანი: მოსწავლეთა პროფორიენტაციული განათლების ხელშეწყობა. მოსწავლეებში თანამშრომლობითი,კომიუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა.

აღწერა: ბუნებრივ და არაფორმალურ გარემოში სწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მოსწავლეს მეტი თავისუფლება აქვს, რაც მიმზიდველობას სძენს სწავლას. ამ დროს მეტია კეთებით სწავლის და გამოცდილებით სწავლის შესაძლებლობა, რაც აღიარებულია სწავლა-სწავლების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ფორმად. რადგან სწავლა პრაქტიკული გამოცდილების მიღების გზით უკეთეს წარმოდგენას ქმნის შესასწავლ საკითხზე.

სწორედ ამ მიზნით ჩემს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა გასვლითი, არაფორმალური გაკვეთილი თბილისში, ფარმაცევტულ საწარმო **„ავერსი-რაციონალში“,** რომელიც ახორციელებს უმაღლესი ხარისხის, უსაფრთხო და ეფექტურ, 200-ზე მეტი დასახელების პროდუქციას.

განხორციელებული არაფორმალური, გასვლითი გაკვეთილი უაღრესად ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. მოსწავლეები ფარმაცევტულ საწარმოში გაეცნენ:

- საწარმოს მუშაობის სპეციფიკას;
- დაათვალიერეს ულტრათანამედროვე ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ლაბორატორია.
- გაეცნენ საწარმოო უბნების აღჭურვილობას.
- დაათვალიერეს უმაღლესი დონის, თანამედროვე მანქანა-დანადგარები;
- გაეცნენ საწარმოო უბნებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის რეგლამენტს.
- გაეცნენ პროდუქციის ხარისხის შემოწმების ეტაპებს;
- გაეცნენ საწარმოში დანერგილ უნიკალურ, ერთიან კომპიუტერიზებულ ფარმაცევტულ სისტემას.

საწარმოში ვიზიტის ბოლოს მოსწავლეებს ჩაუტარდათ შემაჯამებელი შეხვედრა, სადაც მათ საშუალება მიეცათ დაესვათ მათთვის საინტერესო შეკითხვები, რაზეც კომპეტენტური ადამიანებისაგან მიიღეს სრული და ამომწურავი პასუხები. ასევე, მიიღეს რჩევები ავერსის საწარმოს პროფესიონალი თანამშრომლისაგან, თუ რა პროფესიული უნარ-ჩვევებია საჭირო ამ სფეროში დასაქმებისათვის და რა უნდა გაითვალისწინონ სამომავლოდ კარიერის დაგეგმვისას.

განხორციელებულმა გასვლითი, არაფორმალურმა გაკვეთილმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში, გარდა საგნობრივი შედეგებისა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან გამომდინარე, ისეთი გამჭოლი უნარების განვითარებას, როგორიცაა: თანამშრომლობა; დროში და სივრცეში ორიენტირება; მეწარმეობა,ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა და პასუხისმგებლობა.

ინტერვენცია N4 მოსწავლეთა ვიზიტი ქალაქ რუსთავში,კომპანია Polyvim LLC -ის მრავალფუნქციურ საწარმოში.

მიზანი: მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. მდგრადი განვითარების მიზანი-11 [მდგარდი ქალაქები და დასახლებები]

აღწერა: მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და გარემოში პლასტმასური ნარჩენების შემცირება/გადამუშავების გაცნობისა და გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზნით ჩემს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან გასვლითი, არაფორმალური გაკვეთილი ქალაქ რუსთავში, კომპანია Polyvim LLC -ის მრავალფუნქციურ საწარმოში,რომელიც ახორციელებს :

- ✓ ნარჩენებისაგან მაღალი ხარისხის დამატებითი ღირებულების პროდუქტის შექმნას.
- ✓ PET (პოლიეთილენ ტერეფტალის) მეორადი ბოთლების გარდაქმნას მაღალი ხარისხის სუფთა და ფერად ფანტელებად.
- ✓ მიღებული PET ფანტელებისაგან პოლიესტერის სინთეზური ბოჭკოს წარმოებას.

განხორციელებული არაფორმალური, გასვლითი გაკვეთილი უაღრესად ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. მოსწავლეები პლასტმასის გადამამუშავებელ საწარმოში გაეცნენ:

- ✓ საწარმოს მუშაობის სპეციფიკას.
- ✓ წარმოების მნიშვნელოვან პროცესებს.
- ✓ ხარისხის კონტროლის მექანიზმებს.
- ✓ PET (პოლიეთილენ ტერეფტალის) მეორადი ბოთლების გარდაქმნის პროცესებს.
- ✓ საწარმოს სამომავლო გეგმებსა და რეკომენდაციებს.

მოსწავლეებმა აღნიშნულ საწარმოში ვიზიტით აიმაღლეს ცნობიერება „მწვანე წარმოების შესახებ“.დასვეს საინტერესო შეკითხვები პლასტმასას გადამუშავებისა და მეორადი გამოყენების შესახებ,რაზეც მიიღეს სრული და ამომწურავი პასუხები კომპეტენტური თანამშრომლებისაგან. გაიგეს თუ რა წარმოადგენს 4R მიდგომა და რამდენად მნიშვნელოვანია პლასტმასური

ნარჩენებისაგან გარემოს დაცვა. აღსანიშნავია ისიც,რომ მოსწავლეებმა წინასწარ ქიმიის კლუბში მოაგროვეს 5კგ პლასტმასური ნარჩენები და საწარმოს გადასცეს.

ინტერვენცია N5. არაფორმალური,გასვლითი გაკვეთილი ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტში.

მიზანი: საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და საკონონმდებლო განვითარების მიმართულებით, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება და გააზრება.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის 14 ნოემბერს გეოგრაფიის მასწავლებლის- ნანა ფოცხვერაშვილისა და ისტორიის პედაგოგის დარინა ჭიკაიძის ერთობლივი ინიციატივით მე-8,მე-9 და მე-10ბ მოსწავლეებთან ერთად დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა ვიზიტი ქალაქ თბილისში, საქართველოს პარლამენტში.

მოსწავლეებს ვიზიტის დროს ჩაუტარდათ გაცნობითი ლექცია საქართველოს პარლამენტის მნიშვნელობის, ფუნქციონირების ,ისტორიული საფუძვლების განვითარებისა და ისტორიული გამოწვევების შესახებ. მოსწავლეებმა დაათვალიერეს პარლამენტის შენობა. დაათვალიერეს პარლამენტის მუზეუმი,სადაც არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ნივთი ინახება. გიდის დახმარებით მოისმინეს საქართველოს პარლამენტის დაარსების ისტორია, მიიღეს ინფორმაცია საქართველოს ცნობილი პარლამენტარების მოღვაწეობის შესახებ.

მოსწავლეებს საშუალება მიეცათ მოესმინათ ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის ადგილმდებარეობის მნიშვნელობისა და დეცენტრალიზაციის პროცესის შესახებ.

ინტერვენცია N6 არაფორმალური გასვლითი გაკვეთილი თბილისის ღრმაღელეს სათავე ნაგებობაზე **ჯივიპი gwp საწარმოში.**

მიზანი: სუფთა,უსაფრთხო სასმელი წლის მნიშვნელობის, სათანადო სანიტარიის და წყლის ხარისხის, მონიტორინგის გაცნობა.

აღწერა: 2022-2023 წლის ოქტომბერში ჩემს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა არაფორმალური,გასვლითი გაკვეთილი ქალაქ თბილისში, ღრმაღელეს სათავე ნაგებობაზე.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეები მდგრადი განვითარების მიზნის: მიზანი-6-ის [სუფთა წყალი და სანიტარია] ფარგლებში, იმყოფებოდნენ თბილისის, ღრღმაღელეს წყალმომარაგების სათავე -ნაგებობაზე, Georgian Water and Power-ში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა:

- ✓ სუფთა,უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყლის მნიშვნელობის;
- ✓ სათანადო სანიტარიის;
- ✓ წყლის ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის გაცნობა.
- ✓ წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების, შედგენილობის მნიშვნელობის შეფასება ადამიანის ყოფა-ცხოვრებას და ბუნებაში.
- ✓ ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს/პროფესიის დაკავშირება წყლის ფიზიკური და ქიმიური თვისებების ცონდის გამოყენებასთან.

მოსწავლეები ადგილზე გაეცნენ წყლის, როგორც ამოწურვადი რესურსის მნიშვნელობას; წყლის მოპოვებისა და სრული დამუშავების ციკლს; დაათვალიერეს საფილტრი მოწყობილობები; გაეცნენ თუ როგორ ხდება სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი „ჯივიპი“ ლაბორატორიებში და თავადაც მიიღეს მონაწილეობა პრაქტიკულ ცდებში. ჩაუტარდათ ვორქშოფი მდინარე არაგვის მაგალითზე, წყლის წრებუნვის,მნიშვნელობისა და ISO სტანდარტის შესახებ.

მოსწავლეებმა არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმატებით დაუკავშირეს ჩემს მიერ ქიმიის გაკვეთილზე შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებას წყლის შესახებ, რომელიც ინტეგრირდა კომპლექსური დავალებების განსახორციელებელ აქტივობებში.

გასვლითი, არაფორმალური გაკვეთილის მიზანი: რაც შეიძლება მეტი მოსწავლე იყოს ინფორმირებული წყლის მნიშვნელობის და გაფრთხილების შესახებ-მიღწეულია.

მოსწავლეებმა დასვეს ბევრი მათთვის საინტერესო შეკითხვა, რაზეც მიიღეს ამომწურავი პასუხები კომპეტენტური ადამიანებისაგან. ისაუბრეს სასმელი წყლის გაფრთხილების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. ასევე, გაამახვილეს ყურადღება თითოეული ადამიანის სამოქალაქო აქტივიზმსა და პასუხისმგებლობაზე. მოსწავლეთა მაღალმა ინტერესმა, ჩართულობამ და აქტიურობამ დამანახა,რომ მოზარდ თაობას შეუძლია ჩვენს ირგვლივ ადამიანების დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლა. რადგან თითოეულმა ადამიანმა უნდა გავიაზროთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და გავუფრთხილდეთ წყლის თითოეულ წვეთს.

ინტერვენცია N7 ვიზიტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქიმიის დეპარტამენტში.

მიზანი: STEM საგნების პოპულარიზაცია.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის 2 დეკემბერს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩემი ინიციატივით ვიმყოფებოდით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კერძოდ, თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტის- ქიმიის დეპარტამენტში.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა:

- ✓ STEM საგნების პოპულარიზაცია.
- ✓ სახალისო ექსპერიმენტების განხორციელებაში მონაწილეობა.
- ✓ უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის გაცნობა-დათვალიერება.
- ✓ მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშეწყობა.

მოსწავლეთა ვიზიტმა სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსწავლეთა მაღალი ინტერესი და ჩართულობა გამოიწვია. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ერთსაათიან ქიმიურ შოუში,სადაც განახორციელეს სახალისო და საინტერესო ექსპერიმენტები. პროცესი უაღრესად საინტერესო და მიზნობრივი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის, რადგან ჩვენ სკოლას არ აქვს საკმარისი რესურსი და შესაძლებლობა, მოზარდ თაობას შესთავაზოს მსგავსი ტიპის საინტერესო და სახალისო

ექსპერიმენტები. მოსწავლეებმა დაათვალიერეს ქიმიის დეპარტამეტი,დასვეს საინტერესო შეკითხვები უნივერსიტეტის წარმომადგენელთან. გაეცნენ უნივერსიტეტის პროგრამებს, სპეციალობებსა და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ქიმიის და არა მხოლოდ ქიმიის დეპარტამენტის ბაზაზე.

აღნიშნული ტიპის არაფორმალური, გასვლითი გაკვეთილები მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა თვალსაწიერს. ხელს უწყობს ფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის არაფორმალურ გარემოში გამოყენებას, რაც თავის მხრივ მოსწავლის აბილიტაციასა და განვითარებას უწყობს ხელს.

ინტერვენცია N8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ვიზიტი.

მიზანი: პროფორიენტაციული განათლების ხელშეწყობა. სხვადასხვა სახის ექსპერტიზის ლაბორატორიების გაცნობა.

აღწერა: სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები ჩემი და გეოფრაფიის პედაგოგის- ნანა ფოცხვერაშვილის ერთობლივი ინიციატივით, 2022-2023 სასწავლო წლის 15 დეკემბერს ვიმყოფებოდნენ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, სადაც მოსწავლეები გაეცნენ და დაათვალიერეს:

- ბალისტიკური ექსპერტიზის
- ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის
- დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის
- ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის
- ნავთობბროდუქტების
- დნმ ექსპერტიზის
- დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზის ლაბორატორიები.

მოსწავლეებმა აღნიშნული ლაბორატორიები დაათვალიერეს და ექსპერტებისაგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს ბიუროში დანერგილი ექსპერტიზის სახეობების და მათი წარმოების სპეციფიკის შესახებ. ბიუროს ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აღნიშნულ ობიექტზე მომუშავე მაღალკვალიფიციური ექსპერტები ყოველდღიურად სხვადასხვა სახის საექსპერტო კვლევებს ISO/IEC 17025 სტანდარტის მიხედვით ახორციელებენ. აღნიშნულ ობიექტზე ვიზიტი უაღრესად საინტერესო და ინფორმაციული აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის.

ინტერვენცია N9 საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ვიზიტი სოფელ სართიჭალაში, შ.პ.ს. „ჩირინას“ მეფრინველეობის საწარმოში და ზეთის გამოსახდელ საწარმოში.

მიზანი: პროფორიენტაციის ხელშეწყობა, ადგილობრივი მეწარმეობის გაცნობა-დათვალიერება. მდგრადი განვითარების მიზნების: **მიზანი**1. [სიღარიბის აღმოფხვრა], **მიზანი:2** [შიმშილის აღმოფხვრა], **მიზანი:9** [მრეწველობა,ინოვაცია და ინფრასტრუქტურა].

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრში მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეები ბიოლოგიის მასწავლებლის ლანა ბარბაქაძის და ჩემი- როგორც ქიმიის მასწავლებლის ინიციატივით ვიმყოფებოდით სოფელ სართიჭალაში, ადგილობრივი წარმოების შ.პ.ს. „ჩირინას“ საწარმოში, რომელიც ახორციელებს ჯანსაღი პროდუქტის წარმოებას ადგილობრივ ბაზარზე.

აღნიშნულ საწარმოში მოსწავლეების ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა:

- ✓ წარმოების თითოეული რგოლის გაცნობა,რომელიც სერტიფიცირებულია ISO 22000 სტანდარტის მიხედვით.
- ✓ მოსწავლეებმა დაათვალიერეს სადედე და ბროილერის ფერმები.
- ✓ გაეცნენ ნედლეულის (სიმინდი,ხორბალი) კომბინირებულ,საშრობი ქარხნის მუშაობის სპეციფიკას.
- ✓ დაათვალიერეს ზეთის გამოსახდელი საწარმო და გაეცნენ არარაფინირებული ზეთის წარმოების ტექნოლოგიურ სრულ პაკეტს, რომელიც აწარმოებს ბიოლოგიურად ჯანსაღ საკვებს.

- ✓ გაეცნენ გენმოდიფიცირებული დანამატების გარეშე გრანულირებული საკვების დამზადების ტექნოლოგიას.
- ✓ დაათვალიერეს საწარმოში დანერგილი და მოხმარებული წყლის გამფილტრავი,ულტრათნამედროვე , ერთიანი კომპიუტიზირებული სისტემა.

საწარმოებში ვიზიტისას მოსწავლეებმა დასვეს მრავალი მათთვის საინტერესო კითხვები.რაზეც მიიღეს კომპეტენტური პასუხები საწარმოს კომპეტენტური თანამშრომლებისაგან.

ინტერვენცია N10 „ერთი დღე სსიპ ქალაქ თბილისის 45-ე საჯარო სკოლაში“

მიზანი: რეგიონისა და ქალაქის სკოლის მოსწავლეთა გაცნობა-დამეგობრება. ინკლუზიისა და ტოლერანტობის ხელშეწყობა.

აღწერა: სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები ჩემი ინიციატივითა და ორგანიზატორობით, და 45-ე საჯარო სკოლის ქალბატონ მზია გელაშვილის ერთობლივი სურვილით 2022-2023 სასწავლო წლის 21 თებერვალს ვეწვიეთ ქალაქ თბილისის 45-ე საჯარო სკოლას. 45-ე საჯარო სკოლაში ვიზიტისას მოსწავლეები გაეცნენ სკოლის ინფრასტრუქტურულ - საგანმანათლებლო მხარეს და არაფორმალურ გარემოს; დაესწრნენ რამდენიმე გაკვეთილს (ინგლისური,სპორტი,ისტი) და საკლუბო სივრცეებშიც დაჰყვეს გარკვეული პერიოდი (რობოტიკის კლუბი-„ჩხირკედელა“, სამოქალაქო კლუბი); ვიზიტის ბოლოს კი დაესწრნენ ლექციას-სემინარს, თემაზე: გენდერული თანასწორობა,ნაადრევი ქორწინება და ხარისხიანი განათლება.

აღნიშნულ სკოლაში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ქალაქისა და რეგიონის სკოლის მოსწავლეთა დამეგობრება-დაახლოება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; მულტიკულტურული გარემოს შექმნის ხელშეწყობა. ქართველი და აზერბაიჯანელი მოსწავლეების ინტეგრაცია საზოგადოებრივ აქტივობებში, რაც თემში ინკლუზიისა და ტოლერანტობის ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

ინტერვენცია N11 სოციალური პროექტი: „ჰუმანიტარული აქცია“

მიზანი: მოსწავლეთა მონაწილეობა სოციალურ პროექტში: „ჰუმანიტარული აქცია“ , რომელიც განხორციელდა თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ადამიანების დასახმარებლად.

აღწერა: 2023 წლის 6 თებერვალს თურქეთში,ქალაქ კაჰრამანმარაში მომხდარ 7,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად განადგურდა და დაინგრა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. თურქეთის პრეზიდენტის თქმით,მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 7000 მიაღწია.50 000-მდე ადამიანი დაშავდა. დაინგრა 6400 -მდე სახლი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, 7 თებერვალს საქართველოში არსებულმა თურქეთის საელჩოს წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ განცხადებას, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს და სთხოვს ჰუმანიტარულ დახმარებას მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და მჭიდრო კავშირების გამყარების მიზნით, საქართველოს მთავრობის მოწოდებით, მოსახლეობა მზაობას აცხადებს მოცემულ მომენტში თურქი მეზობლებისათვის საჭირო დახმარების გაწევაზე.

მიმდინარე ჰუმანიტარულ აქციას სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში არსებული ქიმიის კლუბის წევრები ,კერძოდ მე-10 კალსის მოსწავლეები, სამოქალაქო განათლების პედაგოგი-ქალბატონი ნანა ფოცხვერაშვილი და კლუბის კურატორ-ხელმძღვანელი, მე, ნინო სამხარაული გამოვეხმაურეთ.

ჩემი და გეოგრაფიის მასწავლებლის -ნანა ფოცხვერაშვილის აქტიური ჩართულობით, მე-10 კლასის მოსწავლეებმა გაავრცელეს აღნიშნული ინფორმაცია სასკოლო თემში. ასევე სკოლის მიმდებარე ტერიოტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში, სოფელ მუღანლოს დასახლებაში, მობილიზება გავუკეთეთ ჰუმანიტარულ აქციას სკოლაშიც. შედეგად მოხდა დაახლოებით 400 კგ-მდე ჰუმანიტარული დახმარების მობილიზება.(ტანსაცმელი,პირველადი მოხმარების ნივთები,მედიკამენტები,საკვები პროდუქტები) . მაქსიმალურად მოკლე დროში ვუზრუნველყავი სატვირთო სამარშუტო მანქანის მობილიზება და მოგროვილი ჰუმანიტარული დახმარება 9

თებერვალს, თბილისში, თურქეთის საელჩოში(ი.ჭავჭავაძის პროსპექტი N35) იქნა მიტანილი. სოციალურ პროექტში მონაწილეობით იმედს ვიტოვებეთ რომ ამ მცირე ქმედებით და დახმარებით ერთ ადამიანს მაინც დავეხმარეთ და გავათბეთ.

აღნიშნული მცირედი დახმარება ჩემი სკოლის, თემისა და მოსწავლეების მხრიდან ძალიან დასაფასებელია.რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართველი ხალხის ტოლერატობასა და კოსმოპოლიტიზმის ცნებას. მსგავსი ნაბიჯებით ჩვენ ვართ მომავალი მსოფლიო მოქალაქენი.

ინტერვენცია N12 სოციალური პროექტი: „ერთი კარტოფილის აქცია“

მიზანი: მდგრადი განვითარების მიზანი 2 [შიმშილის აღმოფხვრა]

აღწერა: მდგრადი განვითარების [მიზანი 2] გახდა მიზეზი იმისა ,რომ 2022-2023 სასწავლო წლის თებერვალში სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში მე,ნინო სამხარაულმა,პედაგოგთა აქტიური მხარდაჭერით განმეხორციელებინა სკოლაში მე-9,მე-10 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით საქველმოქმედო აქცია,სახელწოდებით: **„ერთი ცალი კარტოფილი“.**

ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში მოსწვალეებმა მოუწოდეს სასკოლო საზოგადოებას, ყველას მოეტანა ერთი ცალი კარტოფილი. აქციისთვის შესანახი ყუთი მოსწავლეებმა გააფორმეს სათაურით: „არა შიმშილს“ და განათავსეს სკოლის მეორე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას. მოსწავლეებმა სკოლის საზოგადოებას გააცნეს ჰუმანიტარული აქციის მიზანი და მოუწოდეს აქტიურობისთვის. ჰუმანიტარული აქცია გაგრძელდა 2 კვირა, რის შედეგადაც მიუხედავად სკოლის მცირეკონტიგენტიანობისა, შეგროვდა 25 კგ კარტოფილი.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში შეგროვილი კარტოფილი მოსწავლეებმა გადასცეს სოფელ მუღანლოში მოქმედ მეჩეთს, რომელიც პერიოდულად აწარმოებს ქველმოქმედებას და ეხმარება შეჭირვებულ ოჯახებს სხვადასხვა ჰუმანიტარული დახმარებით. აღსანიშნავია რომ აღნიშნულ აქტივობაში ჩართული იყო მათემატიკის მასწავლებელი-მარიამ წამალაშვილი და ლალი მაისურაძე. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ეკატერინე ჭინჭარაული. მუსიკის მასწავლებელი- სოფია გოგიჩაშვილი. ისტორიის მასწავლებელი- დარინა ჭიკაიძე. გეოგრაფიის მასწავლებელი- ნანა

ფოცხვერაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი-შორენა ქიტესაშვილი. ბიოლოგიიის პედაგოგი -ლანა ბარბაქაძე.

ინტერვენცია N13 საკლასო მინი პროექტი: **„ადამიანის უფლებები წარსულსა და აწმყოში“**

მიზანი: ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის თებერვალში, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მე-10 ბ კლასში სამოქალაქო, ისტორიის მასწავლებლების, ნანა ფოცხვერაშვილისა და დარინა ჭიკაიძის ერთობლივი ინიციატივით განხორციელდა საკლასო მინი პროექტი, სახელწოდებით: **„ადამიანის უფლებები წარსულსა და აწყმოში“.**

საკლასო მინი პროეტის ფარგლებში, ამა წლის 9 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დღესთან დაკავშირებით, მოსწავლეებს ჩაუტარდათ საინფორმაციო სემინარი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ შესახებ. სემინარის ფარგლებში განხილული იყო ისეთი თემები,როგორიცაა:

- ✓ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტის შესახებ ინფრომაციის გაცნობა;
- ✓ კანონის გაცნობა აბსოლუტური და შეზღუდული უფლებების შესახებ.
- ✓ ინფორმაცია, ბუნებით და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების შესახებ;
- ✓ ადამიანის უფლებების თაობებად დაყოფის შესახებ;
- ✓ ადამიანის უფლებების განვითარების ეტაპების შესახებ;
- ✓ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების არარსებობის შესახებ;

სწორედ ამიტომ 10 დეკემბერი -საყოველთაო მასშტაბით აღინიშნება, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის დღე. სემინარზე წარმოდგენილი საკითხების გაცნობის შემდეგ მოსწავლეებმა იმუშავეს ერთობლივად და შექმნეს კედლის გაზეთი **„ადამიანის უფლებები წარსულსა და აწმყოში“,** რომელიც განათავსეს სასკოლო სივრცის თვალსაჩინო ადგილას.

აღნიშნული მინი საკლასო პროექტით, ხელი შეეწყო მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებას ადამიანის უფლებების განვითარების შესახებ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, ტოლერატობისა და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება-აღზრდაში.

ინტერვენცია N14 ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში- სამეცნიერო ლექციაზე.

მიზანი: შაქრის როგორც მნიშვნელოვანი პროდუქტის, მისი დადებითი და უაროფითი თვისებების გაცნობა.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის 24 თებერვალს სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის კლუბ „ეკოქიმიკოსები"-ს წევრები, კლუბის ხელმძღვანელის ნინო სამხარაულის ინიციატივით იმყოფებოდნენ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში,სადაც დაესწრნენ აღნიშნული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორის,ქალბატონ ქეთევან კუპატაძის მიერ მოსწავლეებისთვის გამართულ სამეცნიერო- პოპულარულ ლექციას, თემაზე: ***„ყველაფერი შაქრის შესახებ"***

სამეცნიერო ლექციაზე მოსწავლეები გაეცნენ შაქარს, მის თვისებებს და შაქრის რაციონალურ გამოყენებას. სამეცნიერო ლექციაზე ქალბატონმა ქეთევანმა ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა:

- ✓ რას ფიქრობდა შაქარზე ავიცენა?
- ✓ როდის მიირთმევდნენ ევროპის მეფენი შაქარს?
- ✓ როგორ გავრცელდა შაქარი?
- ✓ ვინ იყვნენ შაქრის ზომბები?
- ✓ რას წარმოადგენს შაქარი ქიმიური თვალსაზრისით? როგორი თვისებები აქვს?
- ✓ რა ემართება შაქარს ჩვენს ორგანიზმში?
- ✓ როგორ ამოვიცნოთ დაფარული შაქარი პროდუქტების ეტიკეტებში?
- ✓ რა საერთო აქვს და რით განსხვავდება შაქარი და თაფლი?

- ✓ რომელია ყველაზე უსაფრთხო ტკბილეული?
- ✓ რა საერთო აქვს შაქარს მარილთან და რას ნიშნავს „მარილის გემო“?

ვორქშოპის მიმდინარეობის პარალელურად დამსწრე საზოგადოებას ჩაუტარდათ ექსპერიმენტები, რომელიც უკავშირდებოდა ნახშირწყლების პროდუქტებში აღმოჩენას და მათ გამოყენებას. სემინარის დასასრულს მოსწავლეებმა ქალბატონ ქეთევანს დაუსვეს მათთვის საინტერესო კითხვები,რაზეც მიიღეს სრული და ამომწურავი პასუხები მომხსენებლისგან.

ინეტრვენცია N15 სკოლაში ქიმიის კლუბის შექმნა.

მიზანი: მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა ქიმიის კლუბის საქმიანობებში ჩართვით.

აღწერა: კვლევის ფარგლებში მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისა და მეტი აქტიურობისთვის გადავწყვიტე ჩამომეყალიბებინა ქიმიის კლუბი. მითუმეტესს რომ სკოლაში იმ პერიოდში არ ფუნქციონირებდა საკლუბო საქმიანებები არცერთ საგანში. აღნიშნული საკითხი გავიტანე პედაგოგიურ საბჭოზე, რომელიც სექტემბრის თვეში ჩატარდა სკოლაში. (იხ. ბმული, პედაგოგიური სხდომის ჩატარების ოქმის შესახებ https://drive.google.com/file/d/1ADxiyGHVlW_Fy7JXhz7NqnmTYZS9MkB1/view?usp=share_link)

კოლეგებისაგან, ასევე დირექციისაგან მივიღე დადებითი უკუკავშირები ქიმიის კლუბის ჩამოყალიბების შესახებ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით კლუბის შექმნამდე მოვახდინე საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინტერესების კვლევა. შევადგინე მოსწავლეთა ანკეტირებისთვის კითხვარები და განვახორციელე მოკვლევა. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო საბაზო -საშუალო საფეხურის 60-მა მოსწავლემ. მიღებული შედეგების დამუშავებითა და ანალიზით (იხ.ბმული https://docs.google.com/document/d/1e4qdGmYEr1tnF0mTPPrA3dqLmGEP_SJC/edit?usp=share_link&ouid=110789592543571003034&rtpof=true&sd=true დავადგინე, რომ: საბაზაო-საშუალო საფეხურის არცერთი მოსწავლე არ არის დაკავებული არცერთი სასწავლო საგნის საკლუბო საქმიანობით

(სკოლაში არ ფუნქციონირებს არცერთი საგნის კლუბი),.მოსწავლეებს აქვთ სურვილი და გამოხატავენ სრულ მზაობას სკოლაში ჩამოყალიბდეს ქიმიის კლუბი. მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ საკლუბო სამუშაოსთვის კვირაში რამდენი საათიც იქნება საჭირო იმდენ დროს დაუთმობენ კლუბურ მუშაობას. მოსწავლეთა ანკეტირებისას კითხვაზე: **„დაასახელე როგორი ტიპის აქტივობებში ისურვებდი მონაწილეობის მიღებას ქიმიის კლუბში გაწევრიანების შემთხვევაში?“** მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ მიიღებდნენ გასვლით , არაფორმალურ გაკვეთილებში მონაწილეობას; განახორციელებდენ სასწავლო პროექტებს, მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციებში, საინფორმაციო სემინარებში სხვადასხვა თემაზე და აიმაღლებდნენ ამ მხრივ კომპეტენციებს.

ყოველივე ამის შემდეგ დავიწყე იმ ლიტერატურის მოძიება,გაცნობა რომელიც ვფიქრობდი რომ დამეხმარებოდა კლუბის ჩამოყალიბებაში. გავეცანი არაერთ ადგილობრივ ინფორმაციას, სტატიას კლუბური სამუშაოს შესახებ და შევიმუშავე კლუბის სამუშაო მიზნები, ფუნქციები და მოვალეობები. კლუბის სამუშაო გეგმა და სტრუქტურა; კლუბის წესდება; კლუბში გაწევრიანების მსურველთა ფორმა; შევქმენი მშობლის განაცხადისა და თანხმობის ფორმები. აღნიშნული ინფორმაცია გამოვაქვეყნე სოციალურ ქსელში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე. ასევე,საკუთარ გვერდზე,რათა აღნიშნული სიახლე ხელმისწვდომი ყოფილიყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

2022-2023 სასწავლო წლის 5 ოქტომბრიდან, ქიმიის კლუბმა, რომელშიც გაწევრიანდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის 24 მოსწავლე,დაიწყო ფუნქციონირება.

- ✓ განაცხადის საფუძველზე მოხდა მოსწავლეთა ჩარიცხვა კლუბში.
- ✓ მოსწავლეები გაეცნენ სასკოლო კლუბ „ქიმიკოსები“-ს მიზნებს,ფუნქციებსა და მოვალეობებს.
- ✓ გაეცნენ კლუბის წესდებასა და სამოქმედო გეგმას.
- ✓ დეტალურად განვიხილეთ კლუბის წევრების,ლიდერისა და კურატორ-მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები.
- ✓ მოსწავლეთა ინიციატივით მოხდა კონკურსის გამოცხადება კლუბის ლოგოსა და სლოგანზე.
- ✓ კლუბის ლიდერობის მსურველმა მოსწავლეებმა წამოაყენეს თავისი კანდიდატურები კლუბის ლიდერის პოზიციაზე.

- ✓ კლუბის წევრებს შორის მოხდა შეთანხმება,ფარული კენჭისყრით კლუბის ლიდერის არჩევასთან დაკავშირებით.
- ✓ კურატორ მასწავლებელთან ერთად ანუ ერთობლივად დავგეგმეთ საკლუბო მუშაობის საინტერესო წარმართვისთვის სავარაუდო განსახორციელებელი აქტივობები.

ქიმიის კლუბში 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით ინტენსიურად ხორციელდება სამუშაო შეხვედრები. სადაც იგეგმება და ხორცილდება არაერთი მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული აქტივობები.

ინტერვენცია 16 მოსწავლეთა ჩართვა ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის პროექტში.

მიზანი: მოსწავლეთა მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში და გამოცდილების გაზიარება.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის ოქტომბერში მე და გეოგრაფიის მასწავლებელმა ნანა ფოცხვერაშვილმა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის დირექციას გავესაუბრეთ- ვაცნობეთ, რომ გვსურდა სკოლის ჩარვთა და მონაწილეობის მიღება ნიკო კეცხოველის პროექტში,რაზეც მივიღეთ დადებითი უკუკავშირი. მე-8, მე-9 და მე-10 კლასებს მივაწოდეთ ინფორმაცია აღნიშნული პროექტის შესახებ- მიგვეღო მონაწილეობა ისეთ ახალგაზრდულ, გარემოსდაცვით კონკურსში, როგორიც ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია- 2022 - 2023 ია. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სკოლას აქამდე არასდროს არ მ,იუღია მონაწილეობა ნიკო კეცხოველის სასკოლო პროექტში. მოსწავლეებმა სრული მზაობა გამოხატეს კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

კონკურსის თანაორგანიზატორები არიან:

- საქართველოს განათლების,მეცნიერების,სპორტისა და კულტურის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს პარლამენტი.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2022-ში მონაწილეობის მიზანს წარმოადგენს შემდეგი: პროექტი არა მხოლოდ გამორჩეული ეკოკლუბების, ცალკეული მასწავლებლების თუ მოსწავლეების გამოვლენისა და დაჯილდოების შესაძლებლობას იძლევა,არამედ არის სკოლებისთვის ახალი შესაძლებლობების,ცოდნის მიღებისა და გაზიარების,პიროვნული ზრდისა და ორგანიზაციული განვითარების უწყვეტი პროცესი.

კონკურსის მთავარი ფასეულობებია: პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი,სოლიდარობა და თანამშრომლობა.

კონკურსის მთავარი მიზანია, სკოლის მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დაანახოს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. რაც ყველაზე მთავრია,კონკურსში ჩართული პირები თავად ხდებიან მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილე.

მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს.

კონკურსის წესები:

- ყველა ქმედება, რომელსაც კონკურსის ფარგლებში ბუნებრივი და სოციალური გარემოს სასიკეთოდ ხორციელდება,ფასდა პირობითი ერთეულით „ნერგებით“.

მიმდინარე სასწავლო წელს, პროექტში ჩართვის შემდეგ ჩვენს მიერ შექმნილმა კლუბმა განახორციელეს ბევრი სოციალური, გარემოსდაცვითი და არაფორმალური ღონისძიებები სკოლის ბაზაზე , რომელშიც აქტიურად იყო ჩართული გეოგრაფიის მასწავლებელი და ბიოლოგიის პედაგოგი. განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი ინფორმაცია აიტვირთა კონკურსის პორტალზე: forestry.ge და ამგვარად, ამა წლის 2 მარტს გამოქვეყნებული შუალედური ქულების ე.წ.“ნერგების“ მიხედვით ქვემო ქართლის რეგიონში სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის შუალედური ქულაა 740 ნერგი, (იხ.დანართი. 1.)რითაც სკოლა ქვემო ქართლის რეგიონის სკოლათა საერთო რეიტინგში მე-8 ადგილზე იმყოფება. კონკურსი გრძელდება და დასრულდება ივნისის თვეში. კლუბის ანგარიშზე ამ ეტაპზე 840- ზე მეტი „ნერგი“ ირიცხება. კლუბი აგრძელებს აქტიურ საქმიანობას ამ მიმართულებით.

ინტერვენცია N17. ინტეგრირებული ღონისძიების ჩატარება „დედამიწის დღე-22 აპრილი“

მიზანი: ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება.

აქტივობა: სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის 22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით გეოგრაფიის მასწავლებელთან ერთად განვახორციელე ინტეგრირებული (გეოგრაფია-ქიმია) შემეცნებითი, ინფორმატიული და სახალისო ღონისძიება, სადაც მონაწილეობა მიიღო სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა. ღონისძიებას მაყურებელთა ამპლუაში ესწრებოდა სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა, შვიდი პედაგოგი, სკოლის დირექციის წარმომადგენელი, სასწავლო ნაწილი-ქალბატონი ირინე იორამაშვილი.

აღნიშნული ღონისძიება, მიმართული იყო მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან, ისეთი მიზნების მიღწევის ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლებისაკენ, როგორიცაა:

- სუფთა წყალი და სანიტარია-სუფთა წყლისა და სანიტარიის ხელმისაწვდომობისა და მდგრადი მართვის უზრუნველყოფა. **(6 მიზანი);**
- კლიმატის მდგრადობის მიღწევა-კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება **(13 მიზანი);**
- წყალქვეშა რესურსები-ოკეანეების,ზღვებისა და მათი რესურსების შენარჩუნება; მდგრადი მოხმარების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის **(14 მიზანი);**
- დედამიწის ეკოსისტემები- ხმელეთის ეკოსისტემის დაცვა, აღდგენა და მათი რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა; ტყეების მდგრადი განვითარება; გაუდაბნოების შეჩერება; მიწისა და ნიადაგის დეგრადირების შეჩერება და დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა; ბიომრავალფეროვნების შემცირების შეჩერება **(15 მიზანი);**
- გონივრული მოხმარება და წარმოება (**13 მიზანი)**

- ასევე, ისეთი გლობალური საკითხების შესახებ, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, ოზონის ხვრელი, გლობალური დათბობა, წყლის რესურსების რაციონალური ხარჯვა, ჰაერის დაბინძურება. ეკოლოგია.ეკოოგიური პრობლემები. ეროზია.გაუდაბნოება.

აღნიშნული ღონისძიების ჩატარებამდე გეოგრაფიის და ქიმიის მასწავლებლები ერთობლივად ვმუშაობით, გავწერეთ გეგმა, რომელიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა და რომელიც მოიცავდა სხვადასხვა საინტერესო, მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებულ, მიზანმიმართულ და შემეცნებით აქტივობებს.

I ეტაპი: ღონისძიების განხორციელების იდეის დაბადება და მოკლე მონახაზის შექმნა.

II ეტაპი: სკოლის დირექტორის ინფორმირება ღონისძიების განხორციელების შესახებ. რჩევებისა და და რეკომენდაციების მიღება.

III ეტაპი: სკოლის პედაგოგთა და კლასის დამრიგებელთა ინფორმირება ღონისძიების ჩატარების თაობაზე და ღონისძიების გეგმის მოკლე მონახაზის გაცნობა. რეკომენდაციებისა და რჩევების მიღება.

IV ეტაპი: გეოგრაფიის (ნანა ფოცხვერაშვილი) და ქიმიის მასწავლებლის (ნინო სამხარაული) ერთობლივი მუშაობით ღონისძიების ეტაპების გაწერა; აქტივობების მომზადება; საჭირო ინფორმაციის მოძიება; თემატური, მიზანმიმართული ვიდეო-რგოლებისა და საინტერესო პრეზენტაციების შექმნა-მომზადება.

V ეტაპი: ღონისძიების განხორციელება. 22 აპრილი.

VI ეტაპი: ღონისძიებაზე გამოვლენილი ყველაზე აქტიური პედაგოგისა და საბაზო-საშუალო საფეხურის 3 მოსწავლის გამოვლენა -დასაჩუქრება სიმბოლური საჩუქრებით.

VII ეტაპი: ღონისძიების შეჯამება-მოსწავლეთა და კოლეგების უკუკავშირის მიღება.

ინტერვენცია N18. გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში ,სტუმრის მოწვევა თემაზე: **„ჩემი ფინანსური გაკვეთილი“.**

მიზანი: მოსწავლეებში ფინანსური განათლების ცნობიერების ამაღლება.

აღწერა: რადგან ფული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.მაგრამ ფულის გონივრულად გადანაწილება სულაც არ არის ადვილი. როდესაც არასაკმარისი ფული გაქვს,ბევრ პრობლემას ვაწყდებით.მაგრამ თუ არ ვიცით ფულის გონივრულად მართვა,მაშინ ბევრი ფულის ქონის შემთხვევაშიც შეიძლება მივიღოთ არასწორი გადაწყვეტილებები.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლის მე-8ა და მე-8ბ კლასის მოსწავლეებთან, (50 მოსწავლე)ასევე, სართიჭალის N3 საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული ქიმიის კლუბ „ეკოქიმიკოსების“ წევრებთან(18 მოსწავლე) განხორციელდა წინასწარი მოკვლევა იმის შესახებ თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ მოსწავლეები ისეთი აქტუალური საკითხის შესახებ, როგორიცაა: **ფინანსური განათლება.**

მოკვლევა განხორცილდა კითხვარების გამოყენებით. (რაოდენობრივი ანკეტირება.) ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო სოფელ სართიჭალის N1 საჯარო სკოლის მე-8 ა და მე-8ბ კლასის 50 -მა მოსწავლემ , ხოლო სართიჭალის N3 საჯარო სკოლის კლუბ „ეკოქიმიკოსების” 18 -მა მოსწავლემ. (ანკეტირების შედეგები იხილეთ მოცემულ ბმულზე: https://docs.google.com/document/d/1TYfGJztgFRU1ikkCGQGZPnfbkcMe_4Og/edit?usp=share_link&ouid=110789592543571003034&rtpof=true&sd=true

კვლევის ძირითადი მიგნებები:

კვლევის შედეგად მოსწავლეებში ფინანსური განათლების მიმართულებით გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- ფინანსური განათლების დონე მოსწავლეებში არც თუ ისე მაღალია.
- მოსწავლეემა არ იციან რა არის დანაზოგი,რა სარგებელი აქვს დანაზოგს.
- არ იციან რა არის ბიუჯეტი.
- არ იციან საიდან მოდის დაზოგვის მოტივაცია.

რეკომენდაციები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მეტად უნდა მოხდეს მოსწავლეთა ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა:
- რა არის ფული, მისი როლი და ფუნქცია;
- ფულის გონივრული მართვა; რას ნიშნავს დაზოგვა და როგორ დავზოგოთ თანხა;
- საინტერესო ფაქტები ფულის შესახებ.
- ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ვალუტის ,ლარის შესახებ;
- როგორ გაარჩიო ნამდვილი ბანკნოტები ყალბისაგან.

სწორედ ამ მიზნით,იმისათვის რომ მოსწავლეთა ფინანსური განათლების ხელშეწყობისთვის შემეწყო ხელი, **„გლობალური ფულის კვირეულის**“ ფარგლებში, 2022-2023 სასწავლო წლის 21 მარტს მე,ნინო სამხარაულმა დავგეგმე და წარმატებით განვახორციელე სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან სტუმრის მოწვევა. კერძოდ, სკოლებს სტუმრობდა ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების დეპარტამენტის უფროსი,ბატონი ლაშა გზირიშვილი, რომელმაც მოსწავლეებს ჩაუტარა ძალზედ საინეტერსო,მიზანმიმართული და აქტუალური საინფორმაციო შეხვედრა.თემაზე: **„ჩემი ფინანსური გაკვეთილი“.** საინფორმაციო სემინარის ფარგლებში ბატონი ლაშას მიერ წარმოდგენილი იყო შემდეგი საკთხები:

- რა არის ფული, მისი როლი და ფუნქცია;
- ფულის გონივრული მართვა; რას ნიშნავს დაზოგვა და როგორ დავზოგოთ თანხა;
- საინტერესო ფაქტები ფულის შესახებ.
- ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ვალუტის ,ლარის შესახებ;
- როგორ გააჩიო ნამდვილი ბანკნოტები ყალბისაგან.
- რა არის დეპოზიტი,ხარჯი,ნაშტი,ბანკი,საბანკო-საგადასახადო ბარათი;
- სესხი,მსესხებელი,სესხის გამცემი,პროცენტი,
- ფულის მახასიათებლები.

შეხვედრა საინეტერესო ინტერაქციითა და მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით წარმიმართა.ბატონმა ლაშამ მოსწავლეთა საინტერესო შეკითხვებს უპასუხა. ვფიქრობ,აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრით ხელი შევუწყე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას ფინანსური განათლების მიმართულებით. დამატებითი მასალა აღნიშნული სემინარის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ბმულებზე.

1. https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid02jFGLYQ9KQqtk5ojzSjnuniszXMTSpfXNx7aqLK7iVB4r2EVovoaZrgCFK9PH6AFXl&id=100003063508295&mibextid=Nif5o

2. https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid0XATwzLYoLVmzSLEbY7t2MFYsxPt8JBfeYv7sJdNkFaqE37B8yoyiRvzvxAZuEnZ7l&id=100003063508295&mibextid=Nif5oz

ინტერვენცია N19 მოსწავლეთა ვიზიტი ქალაქ რუსთავში, კომპანია „ტენეს“ აქციაზე.

მიზანი: მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება.

აღწერა: მოგეხსენებათ, პლასტმასის ნარჩენებით გარემოს დაბინძურება ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია მსოფლიოში, რადგან სწრაფად მზარდი ერთჯერადი პლასტმასის პროდუქტების წარმოებას მათი შემდგომი გადამუშავება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. პლასტმასური პროდუქტები ხშირად შეიცავენ ამათუიმ ქიმიურ დანამატებს, რათა უფრო მყარი,დრეკადი და გამძლე გახდეს.ზუსტად ეს დანამატები უხანგრძლივებენ პლასტმასურ პროდუქტებს გამოყენების ვადას. შედეგად 400 წელი მაინც სჭირდება მათ დაშლას ნაგავში მოხვედრის შემთხვევაში. პლასტმასური და ელექტრული ნარჩენით გარემოს დაბინძურება კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება,ამიტომ ყველამ ერთად უნდა ვაჩუქოთ მათ მეორე სიცოცხლეზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოზე ზრუნვა და პლასტმასური ნარჩენებით მისი დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება უპირობოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზნით სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის

მასწავლებლის ნინო სამხარაულის ინიციატივითა და ორგანიზებით, 2022-2023 სასწავლო წლის 25 თებერვალს მე-10 ბ კლასის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ქალაქ რუსთავში, ქართული კომპანია „ტენე“-ს მიერ ორგანიზებულ აქციაზე (ლოკაცია: დათას ეზო), სადაც დაზიანებული ელექტრული სადენებისა და პლასტმასური ნარჩენების ჩაბარება მოახდინეს. საჩუქრად ქართული, ეკომეგობრული USB სადენებიც მიიღეს. ამ ტიპის ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს განუვითაროთ და ხელი შევუწყოთ გარემოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და გაზრდას, პლასტმასური ნარჩენების შემცირებას და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას.

ვიზიტის ამსახველი მასალა იხილეთ ქვემოთ მოცემულ ბმულზე.

https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid08SJKY8u3v2b3h5i76ULuGrCFFZKnX1iUfZnSuLrBKS3ybdjLhnTHSZv6FDeP2qQ2l&id=100090021262272&mibextid=Nif5oz

ინტერვენცია N20 სტუმრის მოწვევა თემაზე: „პირველადი სამედიცინო დახმარება“

მიზანი: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება „პირველადი სამედიცინო დახმარების “ შესახებ და სტუმრის მოწვევა.

აღწერა: ყოველდღიური ცხოვრება სავსეა მოულოდნელი შემთხვევებით, რომლებიც იწვევენ ჩვენი ან ჩვენი გარშემომყოფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან არასასურველ ცვლილებას. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია სწორი და დროული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა,რომელიც შესაძლებელია შეასრულოს არასამედიცინო განათლების მქონე,ნებისმიერმა პირმა. პირველივე წუთში გაწეული სწორი სამედიცინო დახმარება ზრდის სიცოცხლის შენარჩუნების,მდგომარეობის გაუმჯობესების და გართულებების თავიდან აცილების ალბათობას. სწორედ ამ მიზნით სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგთან -შორენა ქიტესაშვილთან ერთად საბაზო - საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ერთად განხორციელდა წინასწარი მოკვლევა იმის შესახებ თუ რა ინფორმაციას ფლობენ მოსწავლეები ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, როგორიცაა: **პირველადი სამედიცინო დახმარება.**

მოკვლევა განხორციელდა მინი კითხვარების გამოყენებით. (რაოდენობრივი ანკეტირება.) ანკეტირებაში მონაწილეობა სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის 60 -მა მოსწავლემ. ანკეტირების შედეგების მონაცემთა ანალიზით გამოიკვეთა, რომ მოსალოდნელზე დაბალია მოსწავლეთა ცნობიერების დონე ისეთი მიმართულებით, როგორიცაა: **პირველადი სამედიცინო დახმარება.** მოსწავლეები სათანადოდ ვერ ფლობენ კომპეტენციებს, რომელიც საჭიროა პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის დროს.

მოსწავლეებში იმ საბაზისო უნარ-ჩვევების გასაცნობად და დასაუფლებლად, რომელიც აუცილებელია რომ იცოდეს თითოეულმა ადამიანმა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხით, 2022-2023 სასწავლო წლის 30 იანვარს, სკოლაში დავგეგმე და წარმატებით განვხორციელე თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს გადაუდებელი რეანიმაციული განყოფილების უფროსი ექთანის, ქალბატონ ასიელ აჯალიევას სტუმრობა სკოლაში.

ქალბატონმა აისელმა მოსწავლეებს გააცნო ის აუცილებელი საბაზისო უნარ-ჩვევები გადაუდებელი,პირველადი დახმარების რომელსაც მნიშვნელოვანი რომ ფლობდეს მოზარდი თაობა. ჩატარებული პრაქტიკული მასტერკლასი მოსწავლეთა უშუალო მონაწილეობითა და სიმულაციური, პრაქტიკულად შესასრულებელი აქტივობებით წარიმართა.

მასტერკლასზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება ძლიერი სისხლდენის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება სითბური დაკვრის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება გონების დაკარგვის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება გულ-ფილტვის დაზიანების დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება გულის გაჩერების დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება ხელოვნური სუნთქვის ჩატარებისას.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება ინფარქტის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება სუნთქვის გაძნელებასთან დაკავშირებით.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება ყურის ტკივილის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება ნაკბენის (ძაღლი,კატა,ქვეწარმავალი, მწერი,) დროს.

- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება კრუნჩხვის,გულის წასვლის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება მოწამვლის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება დამწვრობის დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება მოტეხილობის (დისლოკაცია, დაჭიმულობა, ამოვარდნილობა, ტვინის შერყევა,თავის,კისრის და ზურგის) დაზიანებების დროს.
- ✓ პირველადი სამედიცინო დახმარება მაღალი ძაბვით გამოწვეული დაზიანების დროს.

დამატებითი ინფორმაცია აღნიშნული შეხვედრის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ბმულზე

https://m.facebook.com/story.php?story_fbid=pfbid0up9rJzcgrQfSKmx5whcV7xENT4JsyqdgEft4gSc4nQPd1ypHYjFqP9GxVWGhoLWvl&id=100003063508295&mibextid=Nif5oz

ინტერვენცია N21 „ჩემი იურიდიული უფლება“ სტუმრის-იურისტის, ქალბატონ ლენა გოჯაევას ვიზიტი სკოლაში.

მიზანი: საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება თემაზე: „ადამიანის უფლებები“.

აღწერა: სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგის ქალბატონ დარინა ჭიკაიძისა და სამოქალაქო პედაგოგის ნანა ფოცხვერაშვილის ორგანიზებით, საბაზო -საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან განხორციელდა საინფორმაციო სემინარი „ადამიანის უფლებები“-ს შესახებ. სტუმრის სტატუსით სკოლაში მოწვეულ იქნა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლე და ამჟამად წარმატებული იურისტი, ადვოკატი- ქალბატონი ლენა გოჯაევა.

მოწვეულმა სტუმარმა ლენა გოჯაევამ მოსწავლეებთან ისაუბრა ადამიანის უფლებების შესახებ. მოსწავლეებს გააცნო მიზნობრივად მომზადებული პრეზენტაცია,. საკითხი ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან თემებს, რომელიც ადამიანისთვის და ნებისმიერი პიროვნებისთვის საკუთარი უფლებების სათანადო ცოდნას და გამოყენებას გულისხმობს.

მოსწავლეებმა იურისტისაგან მოისმინეს „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ შესახებ ინფორმაცია. ქალბატონმა ლენამ მოსწავლეებს გააცნო ქვეყნის ძირითადი კანონის -კონსტიტუციის შესახებ ინფორმაცია,მისი მნიშვნელობა და დანიშნულება. იურისტმა ისაუბრა ისეთ ტაბუდადებულ საკითხებზე, რომელიც ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმებს გულისხმობს. მოსწავლეებმა მოისმინეს საკუთარი უფლებების შესახებ კონვენცია. იურისტმა მოსწავლეებს წარუდგინა პრევენციის ყველა ის მეთოდი, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია და გამოადგებათ ყოველდღიური, ცხოვრებისეული დაბრკოლებების გადალახვაში.

მოსწავლეებთან იურისტის შეხვდრა საინტერესო კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეების მხრიდან დაისვა ბევრი საინტერესო კითხვა ,რაზეც მიიღეს ამომწურავი და კომპეტენტური პასუხები ადვოკატისგან.

ინტერვენცია N22 საინფორმაციო სემინარები სხვადასხვა თემებსა და საკითხებზე.

მიზანი: მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მათთვის საინტერესო თემებზე.

აღწერა: კვლევის ფარგლებში მოსწავლეთა ანკეტირების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით ჩატარდა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, იმაზე თუ რომელი თემები იყო მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი. მოპოვებული კვლევის მონაცემების დამუშავებით მიღებული მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

მოსწავლეთა ინტერესების კვლევის ანალიზი

მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, რომელიც განხორციელდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საბაზო -საშუალო საფეხურზე, მონაწილეობა მიიღო 60-მა მოსწავლემ. კვლევის ანალიზის შედეგები გამოიყურება ასე:

1. **კითხვაზე: „ გსურს თუ არა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა თემაზე ჩატარებულ საინფორმაციო სემინარებში“, მოსწავლეთა შედეგები ასეთია:**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 60 გამოკითხული მოსწავლიდან 56 მოსწავლეს სურს მიიღოს მონაწილეობა სკოლაში სხვადასხვა თემაზე ჩატარებულ საინფორმაციო სემინარებში; 4 მოსწავლეს არ აქვს გადაწყვეტილი მონაწილეობის მიღება; ხოლო პასუხს „არა“ არცერთი მოსწავლე არ აფიქსირებს.

2. კითხვაზე, „თუკი გსურს სკოლაში დაგეგმილ საინფორმაციო სემინარებში მონაწილეობა, ჩამოთვლილთაგან რომელ თემაზე/თემებზე ისურვებდი სემინარის ჩატარებას?“ შედეგები გამოიყურება ასე:

როგორც წარმოდგენილი სვეტოვანი დიაგრამიდან ჩანს, მოსწავლეთა ინტერესი ყველა თემისადმი აქტუალურია, მაგრამ გამოიკვეთა მათთვის საინტერესო და პრიორიტეტული თემებიც: მოსწავლეთა ყველაზე ბევრი ხმა მიიღო შემდეგმა თემებმა: 1- მშვიდობა და სამართლიანობა (37 ხმა); 2-სუფთა წყალი და სანიტარია (36 ხმა); 3. ნაადრევი ქორწინება (36 ხმა); 4. ბულინგი (36 ხმა); 5- სიღარიბე და უმუშევრობა (36 ხმა); მე-6 ადგილზე 28 ხმითაა წარმოდგენლი ხარისხიანი განათლება და მედიაწიგნიერება. მე-7 ადგილზეა ოკეანე და ზღვის დაცვა (20 ხმა); მე-8 ადგილზეა ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია (17 ხმა); მე-9 ადგილზეა ხელმისაწვდომი ჯანდაცვა (14 ხმა); მე-10 ადგილზეა მდგრადი ქალაქები და დასახლებები (13 ხმა); მე-11 ადგილზეა დედამიწის ეკოსისტემები (12 ხმა); მე-



12 ადგილზეა წარმოდგენილი კლიმატის ცვლილება (11 ხმა); მე-13 ადგილზეა ათი ხმით გონივრული მოხმარება და წარმოება. მე-14 ადგილზე 6 ხმითაა წარმოდგენილი მრეწველობა და ინოვაცია; ხოლო ბოლო ადგილზეა გენდერული თანასწორობა-4 ხმით.

სწორედ ამ მიზნით, მიმდინარე სასწავლო წლის სხვადასხვა პერიოდში გეოგრაფიის, ისტორიის, მუსიკის, ბიოლოგიის, ქიმიის პედაგოგებმა ურთიერთთანამშრომლობით შევქმენით შესაბამისი ციფრული პრეზენტაციები და წარვუდგინეთ მოსწავლეებს. წარდგენილი თემები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ✓ ნაადრევი ქორწინება (ნანა ფორცხვერაშვილი-გეოგრაფიის პედაგოგი.)
- ✓ მედიაწიგნიერება (ნინო სამხარაული-ქიმიის პედაგოგი)
- ✓ გენდერული თანასწორობა (დარინა ჭიკაიძე-ისტორიის პედაგოგი)
- ✓ სიღარიბე და უმუშევრობა (ეკატერინე ჭინჭარაული-ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი)
- ✓ დედამიწის ეკოსისტემები (სოფია გოგიჩაშვილი-მუსიკის პედაგოგი, ლანა ბარბაქაძე-ბიოლოგიის პედაგოგი)
- ✓ სუფთა წყალი და საინტარია (ნანა ფოცხვერაშვილი,ნინო სამხარაული)
- ✓ კლიმატის ცვლილება (ნინო სამხარაული-ქიმიის პედაგოგი)
- ✓ მშვიდობა და სამართლიანობა (დარინა ჭიკაიძე-ისტორიის პედაგოგი)
- ✓ არ ისროლო ფეიერვერკი (ნინო სამხრაული-ქიმიის პედაგოგი)

ინტერვენცია N23 მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციაში მონაწილეობა.

მიზანი: მოსწავლეთა ჩართვა კონფერენციებსა და საჯარო გამოსვლების ღონისძიებებში.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის 26 მარტს, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის კულტურის სახლში, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის ქიმიის წამყვანმა მასწავლებელმა, მე-ნინო სამხარაულმა , არაფორმალური განათლების ცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ ანა კვიჟინაძესთან და ქალაქ თბილისის N64-ე

საჯარო სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებლის, ქალბატონ ნინო ნატროშვილთან ერთად, ერთობლივი თანამშრომლობით განვახორციელეთ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენცია: **„მდგრადი განვითარება-არაფორმალური განათლების გზით“.**

კონფერენცია მიზნად ისახავდა:

- ✓ როგორც რაიონის ადგილობრივი სკოლების, ისე, რეგიონისა და ქალაქის სკოლათშორისი ურთიერთობის დამყარებას.
- ✓ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივი გამოცდილების გაზიარებას.
- ✓ ინტერკულტურული გარემოს შექმნასა და ხელშეწყობას.
- ✓ არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტეგრირებას.
- ✓ მოსწავლეთა ჩართულობას მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში.

მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის N45-ე საჯარო სკოლის, N64-საჯარო სკოლის, N89- ე საჯარო სკოლის და N172-ე საჯარო სკოლის მოსწავლე-პედაგოგებმა.ასევე, კონფერენციაში მონაწილეობდა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N1,N2 და N3 საჯარო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლებთან ერთად სოფელ მუღანლოს საჯარო სკოლის მოსწავლე-პედაგოგები. სოფელ სართიჭალის კულტურის სახლის დირექტორთან ბატონ სიმონი გოჩიტაშვილთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, აღნიშნული კონფერენცია ჩატარდა სოფელ სართიჭალის კულტურის სახლში.

აღნიშნული კონფერენციის ერთ-ერთ ძირითად მიზანს გარდა ზემოთაღნიშნული მიზნებისა, წარმოადგენდა მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ისეთი საკითხების აქტუალიზებაში, როგორიც მდგრადი განვითარების მიზნებია. როგორც მოგეხსენებათ, მდგრადი განვითარებისთვის განათლება გულისხმობს ინტერაქტიულ, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასა და ისეთ სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს სწავლის პროცესს,თანამშრომლობას,ფორმალური და არაფორმალური სწავლების გარემოთა შერწმას. რადგან ამგვარი მოდგომებით ეწყობა ხელი იმ ძირითადი უნარების განვითარებას,რომელიც აუცილებელია მოსწავლეებში მდგრადი განათლების განვითარებას. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდა მეათე კლასიდან ორი მოსწავლე,რომელთაც მენტორობა გაუწია გეოგრაფიის მასწავლებელმა-ნანა ფოცხვერაშვილმა.

ინტერვენცია N24 მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციაში მონაწილეობა.

მიზანი: არაფორმალური გაანთლების ფორმალურ გარემოში ინტეგრირების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

აღწერა: 2022-2023 სასწავლო წლის 11 მარტს, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა ნათია სისაურმა და როიალ მახარამოვამ ჩემი მენტორობის ქვეშ მონაწილეობა მიიღეს არაფორმალური განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციაზე,ეგიდით: **„არაფორმალური განათლების როლი ფორმალურ განათლებაში“,** რომელიც განხორციელდა ქალაქ თბილისში, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ასევე,მოსწავლეთა აქტიური ჩართვა ისეთი საკითხების აქტუალიზებაში, როგორიც მდგრადი განვითარების მიზნებია. კონფერენციაში მომხსენებლად მონაწილეობა მოსწავლეებისთვის იყო პირველი. მიუხედავად ნერვიულობისა, მათთვის ეს იყო დიდი გამოცდილების, აუდიტორიასთან კომუნიკაციის, თავდაჯერებულობისა და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბების ხელშეწყობისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი დღე.

დამატებითი ინფორმაცია კონფერენციის შესახებ იხილეთ ქვემოთ მოცემულ ბმულზე:

https://drive.google.com/drive/folders/1EGRoLZCzH7mO3LFh-fuKCJE9vGUsAVD7?usp=share_link

5.2 განხორციელებული ინტერვენციის შედეგების შეფასება.

განხორციელებულმა ინტერვენცის ანალიზმა ცხადყო, რომ სკოლაში ამგვარი აქტივობების დაგეგმვა მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო იმისა, რომ შეცვლილიყო პედაგოგთა პესიმისტური დამოკიდებულება არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით. სკოლაში საბაზო -საშუალო

საფეხურის მოსწავლეთა საგრძნობმა გააქტიურებამ მასწავლებლებს დაანახა რომ შესაძლებლია არაფორმალური განათლების გააქტიურებამ და გაძლიერებამ გამოიწვიოს მოსწავლეთა დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება, მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და თვითდაჯერებულობა.

აღნიშნულმა ინტერვენციებმა საგრძნობლად გამოაცოცხლა სასკოლო ცხოვრება. მოიმატა სკოლაში პედაგოგთა ურთუიერთთანამშრომლობითმა გარემომ. ერთობლივად დაიგეგმა სასწავლო პროეტები, გასვლითი, არაფორმალური ვიზიტები სხვადახვა საწარმოსა თუ ობიექტზე. დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა ვიზიტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; სკოლაში მოწვეული იქნენ საინტერესო სტუმრები. პედაგოგთა ერთობლივი ძალებით და თანამშრომლობით სკოლაში განხორციელდდა არაერთი საინტერესო შემეცნებითი სემინარები საინტერესო საკითხებზე და თემებზე. აღნიშნულმა საინტერესო მუშაობამ მასწავლებელთა მოტივაციის გააქტიურება და ამაღლება გამოიწვია.

კვლევის ფარგლებში შეთავაზებულმა არაფორმალურმა აქტივობებმა უფრო მეტად დაახლოვა მასწავლებლები და მოსწავლეები ერთმანეთს.ურთიერთთანამშრომლობა გახდა ნაყოფიერი, შედეგიანი, რაც აისახა ასევე სასკოლო სამუშაოების შესრულების დროსაც.

ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოვახდინე მოსწავლეთა შეხვედრა და ზეპირი ინტერვიურება, რათა გამეგო მოსწავლეთა აზრი იმასთან დაკავშირებით თუ რას ფიქრობდნენ სკოლაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. გამოკითხულ მოსწავლეთა უმრავლესობა დადებითად აფასებს სკოლაში კვლევის ფარგლებში განხორცილებულ აქტივობებს.ისინი თვლიან რომ პედაგოგთა მიერ შეთავაზებული აქტივობები არის საინტერესო, მათ ინტრესებესზე მორგებული და სახალისო. მათი აზრით, აღნიშნულმა ქმედებებმა ხელი შეუწყო მათი საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, გაიზარდა თვითდაჯერებულობა; შეიცვალა იმ რესპოდენტთა რაოდენობაც, რომლებიც არაფორმალურ განათლებას უინტერესოდ მიიჩნევდნენ. შეიცვალა ასევე მათი წარმოდგენა იმ მხრივაც, რომ არაფორმალური განათლების საშუალებით ადგილი აქვს იმ უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელიც აუცილებელი და მნიშვნელოვანია თანამედროვე, 21-ე საუკუნის

ახალგაზრდისთვის,რათა ფეხი აუწყოს თანამედროვეობას და დამოუკიდებლად შეძლოს ცხოვრებისეული დაბრკოლებების გადალახვა.

თავი VI

რეკომენდაციები და კვლევის შეზღუდვა

6.1 რეკომენდაციები

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევის საფუძველზე შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია:

- ✓ მნიშვნელოვანია კოლეგებთან აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა .
- ✓ სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია ფორმალურ განათლებასთან ერთად აქტიურად ინტეგრირდეს არაფორმალური განათლების ხელშემწყობი საინტერესო აქტივობები.
- ✓ მასწავლებელთა აქტიური თანამსრომლობა გამოყენებული უნდა იქნეს მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.
- ✓ მნიშვნელოვანია დაგეგმილი არაფორმალური აქტივობები იყოს პრაქტიკულად მიღწევადი და ორიენტირებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
- ✓ სკოლის კათედრებმა ითანამშრომლონ უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსiტეტების შესაბამის დეპარტამენტებთან და ლაბორატორიებთან.
- ✓ სკოლაში დაიგეგმოს და განხორციელდეს საინტერესო სასკოლო და სასწავლო პროექტები.
- ✓ მოსწავლეებმა აქტიურად მიიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა მიმართულებით კონფერენციებსა და ვებინარებში.

- ✓ ხშირად განხორციელდეს არაფორმალური ვიზიტები და გასვლითი გაკვეთილები სხვადასხვა საწარმოსა და ობიექტზე მოსწavლეთა მოტივაციის გაზრდისა და პროფორიენტაციის გაძლიერების მიზნით.
- ✓ აქტიურად ჩატარდეს პედაგოგთა და მოსწავლეთა არაფორმალური შეხვედრები დისკუსიისა და სხვადასხვა საკითხებზე მჯელობის მიზნით.
- ✓ აქტიურად განხორციელდეს განსხვავებულ თემებზე საინფორმაციო კამპანიის სემინარები.
- ✓ აქტიურად დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტეგრირებული ღონისძიებები.

6.2 კვლევის შეზღუდვა

კვლევის მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა რამდენიმე პრობლემას. პირველ რიგში ეს ეხება რამდენიმე პედაგოგის მოტივაციის დაბალ დონეს, მოუცლელობას და მიმღებლობის არ ქონას. მიუხედავად იმისა, რომ თვისობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს , არ გამოთქვეს სურვილი ჩართულიყვნენ კვლევის პრაქტიკულ ნაწილში.

თავი VII

7.1 დასკვნა

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წელს საბაზო-საშუალო საფეხურზე განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

საჭიროების კვლევა: **„როგორ შეუწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება და პედაგოგთა თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას“.**

პედაგოგიურ კოლექტივთან ჩატარებული კვლევის შედეგენის ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლის ბაზაზე საბაზო-საშუალო საფეხურზე არაფორმალური განათლების კუთხით შეიმჩნეოდა პედაგოგთა ნაკლები აქტიურობა. პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მასწავლებლები ნაკლებად მიმართავდენენ არაფორმალუირ სწავლების აქტივობების გამოყენებას და ინტეგრირებას ფორმალური სწავლების პარალელურად. მასწავლებლები ამ მიმართულებით ნაკლებად ურთიერთთანამშრომლობდნენ. ნაკლებად ტარდებოდა ერთობლივი, ინტეგრირებული ღონისძიებები, საკლუბო მუშაობები, არაფორმალური გასვლითი გაკვეთილები, საინფორმაციო შეხვედრები სხავადასხვა საინტერესო თემებზე, ნაკლებად ხდებოდა სკოლაში სტუმრის მოწვევა სემინარის ჩასატარებლად. სკოლის ადმინიტრაციის ინტერვიურებიდან იკვეთება, რომ დირექციის აზრით, პედაგოგებს არ რჩებოდათ თავისუფალი დრო არაფორმალური სწავლების შესაბამისი აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად.

საბაზო-საშუალო საფეხურის (მე-8,მე-9,მე-10ა,მე-10ბ,მე-11 კლასი, გამოიკითხა სულ 60 მოსწავლე) მოსწავლეთა ანკეტირების შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს ჰქონდა წარმოდგენა არაფორმალური განათლების შესახებ, რის გამოც მიიჩნევდენ ისინი ამ ტიპის განათლებას საინტერესოდ და სახალისოდ. თუმცა გამოკითხულ მოსწავლეთა ნაწილის აზრით, ამ ტიპის განათლება სკოლებში არ არის საჭირო, რადგან მოითხოვს ბევრ დროს, ვერ ხედავს პრაქტიკულ სარგებელს, უჭირს ან არ სურს კომუნიკაცია და ა.შ.

მას შემდეგ,რაც დაკვირვებითა და მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვით დავადგინე გამომწვევი მიზეზები, დავგეგმე ისეთი ტიპის ინტერვენციები,როგორიც იყო: საინფორმაციო სემინარი კოლეგებთან -არაფორმალური განათლების შესახებ. საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ინტენსიური საინფორმაციო სემინარების გამართვა -მათთვის საინტერესო თემებზე; გასვლითი არაფორმალური გაკვეთილები სხვადასხვა საწარმოსა და ობიექტზე; გასვლითი გაკვეთილები სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოსწავლეთა ჩართვა და მონაწილეობა მოსწავლე-მასწავლებელთა ერთობლივ კონფერენციებში. ქიმიის კლუბის

შექმნა და მასში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა; სკოლაში სტუმრის მოწვევის კულტურის დანერგვა მოსწავლეთა ინტერესის სფეროს მიხედვით; ინტეგრირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; მოსწავლეთა ჩართვა ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის პროექტში. ინტერვენციების შედეგად საკვლევი თემის კუთხით მასწავლებლებზე ფოკუსირებული დაკვირვება და კვლევის დასასრულს მოსწავლეებთან ინტერვიურება კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციების შეფასებისთვის.

ამისთვის კი კვლევაში მონაწილე საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ჩავატარე ინტერვიუს გზით გამოკითხვა განხორციელებული ინეტრვენციების შეფასების მიზნით. მინდა აღვნიშნო, რომ კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვენციების შემდეგ საგრძნობლად მოიმატა მოსწავლეთა აქტიურობამ, ჩართულობამ სხვადასხვა აქტივობებში და მონაწილეობის სურვილმა. აღნიშნულმა გარდა აქტიური მოსწავლეებისა ,შედარებით ნაკლებად აქტიური მოსწავლეების გააქტიურება და მობილიზებაც გამოიწვია. მათთვის დაგეგმილი ღონისძიებები აღმოჩნდა საინტერესო,სახალისო და მნიშვნელოვანი.რასაც აღნიშნავენ, ადასტურებენ და არ მალავენ მოსწავლეები ინტერვიუს დროს.

რაც შეეხება პედაგოგებს, მოსწავლეების მსგავსად , მათშიც საგრძნობლად მოიმატა აქტიურობამ. რამდენიმე კოლეგამ (გეოგრაფიის,სამოქალაქო განათლების,ისტორიის, ინგლისურის, ქიმიის, ბიოლოგიის) განახორციელა გასვლითი, არაფორმალური გაკვეთილები სხვადასხვა დაწესებულებაში. აღნიშნული აქტივობების ფოტო-მასალა ატვირთული და თვალსაჩინოა სოციალურ ქსელში, სკოლის Faceebook.com გვერდზე. კოლეგები ერთხმად აღნიშნავდნენ ,რომ არაფორმალური განათლების აქტივობების განხორციელების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია,ჩართულობა და ინეტერესი.

არაფორმალური განათლების შესაბამისი აქტივობების გამოყენებამ უფრო დაახლოვა მოსწავლეები და მასწავლებლები. გარემო გახდა უფრო მეგობრული, თანამშრომლობითი, თბილი და მიმღებლური. შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებიც დამეხმარება სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად გამოყენებასა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაში.

ჩემს მიერ განხორციელებულმა სკოლის საჭიროების კვლევის პოზიტიურმა შედეგებმა დაგვანახა, რომ ჩვენ მასწავლებლები, ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ სასწავლო და საკლასო გარემო გავხადოთ მოსწავლის ინტერესებზე მორგებული, საინტერესო და სახალისო. ამისთვის კი, ერთ-ერთ პირობად

ფორმალურ განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში არაფორმალური განათლების ინტეგრირება, რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების, საკომუნიკაციო და პროფესიული კომპეტენციების დაუფლებას, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და თვითრეალიზებას საზოგადეობაში.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ კვლევის ფარგლებში დაგეგმილმა არაფორმალურმა აქტივობებმა ნაწილობრივ უზრუნველყო პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ საბოლოოდ , სრულად მოგვარება ვერ მოხერხდა. რადგან არაფორმალური სწავლება უნდა მიმდინარეობდეს არა რამოდემინე თვე ან წელი,არამედ სიცოცხლის ბოლომდე, რომელიც თანდათან ადაპტირდება მოზარდის ცხოვრებაში და სრულყოფილ სახეს გარკვეული წლების გასვლის შემდეგ იღებს. ვფიქრობ ,რომ პრობლემის მოგვარება მხოლოდ ერთი კვლევის ფარგლებში შეუძლებელია.

7.2 გამოყენებული ლიტერატურა

1. სოფიკო ლობჟანიძე. „როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“, 2012 წ, 3 მაისი. http://mastsavlebeli.ge/?p=281
2. https://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=2237
3. არაფორმალური განათლება ცოდნის ტრანსფერისთვის - mastsavlebeli.ge
4. ეროვნული სასწავლო გეგმა. https://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo
5. ლ, კოჰენი და სხვები, „კვლევის მეთოდები განათლებაში“, მეექვსე გამოცემა,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
6. მარი მჭედლიძე. (სასკოლო კვლევის ცენტრი) [6] (1) სასკოლო კვლევების ცენტრი/Schools Research Centre | Tbilisi | Facebook
7. კვლევა თამარი (calameo.com)
8. თავი VIII. პრიორიტეტული გამჭოლი კომპეტენციები - ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი (ncp.ge)
9. პროფორიენტაცია-არაფორმალური განათლების გზით - mastsavlebeli.ge

10. არაფორმალური განათლება თვითგანვითარებისთვის (radiotavisupleba.ge)
11. რა არის ფორმალური და არაფორმალური არაფორმალური განათლება? - ყველაფერი სტუდენტობის შესახებ (unate.org)
12. არაფორმალური განათლება, მედიაწიგნიერება და ვიდეოგაკვეთილები საბაზო საფეხურზე - mastsavlebeli.ge
13. ჯონ საფიერი, რობერტ გოუერი – გამოცდილი მასწავლებელი – Library (iliauni.edu.ge)

7.3 დანართები

დანართი.1.

ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველსაყოფი ფორმა.

ქალბატონო/ბატონო----------

ვაწარმოებ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტსი სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საჭიროების კვლევას. გთხოვთ,დამიდასტუროთ ხელმოწერით,რომ თანახმა ხართ, კვლევის ფარგლებში ვაწარმოო თქვენ შვილთან ----------ინტერვიუ-ანკეტირება.

პატივისცემით: ნინო სამხარაული

მშობლის ხელმოწერა:----------

დანართი 2.

კოლეგებთან ჯგუფური ინტერვიუს დროს გამოყენებული კითხვები

10. იცნობთ,რა არის არაფორმალური განათლებას?
11. რა როლი აქვს არაფორმალურ განათლებას სწავლა-სწავლების პროცესში?
12. როგორია თქვენი დამოკიდებულება არაფორმალური განათლებისადმი?
13. რამდენად ხშირად იყენებთ არაფორმალური განათლების აქტივობებს?
14. რა არის არაფორმალური განათლების გამოყენების ხელსშემშლელი ფაქტორი?/ფაქტორები?
15. რა არის ხელისშემყობი ფაქტორი არაფორმალური განათლების განხორციელებისათვის?
16. შეუწყობს თუ არა ხელს არაფორმალური განათლების ინტეგრირება ფორმალური სწავლების გაუმჯობესებას?
17. თქვენი აზრით, კოლეგებთან აქტიური თანამშრომლობა და არაფორმალური განათლების გაძლეიერება გამოიწვევს თუ არა სკიოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას? სკოლის საერთო შედეგების გაუმჯობესებას?

დანართი 3.

ადმინისტრაციასთან ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოყენებული კითხვები

1. არსებობს თუ არა სკოლაში კოლეგებს შორის პრაქტიკის გაზიარების კულტურა?
2. რამდენად უწყობს ხელს ფორმალური განათლება იმას, რომ მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ერთობლივად იმუშაონ არაფორმალურ გარემოში?
3. ხდება თუ არა კოლეგების მხიდან არაფორმალური განათლების მნიშვნელობის გააზრება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში?
4. რა არის საჭირო იმისათვის, რომ განვავითაროთ არაფორმალური განათლება?

5. არსებობს თუ არა სკოლის ბაზაზე არაფორმალური განათლების მიმართულების ხელშემწყობი ინტელექტუალური,ფიზიკური და მატერიალური გარემო?
6. შეუწყობს თუ არა ხელს არაფორმალური განათლების გააქტიურება სკოლის შიგა საგანმანათლებლო ინიციატივების დამკვიდრებას?

დანართი. 4.

მოსწავლეთა კითხვარი

მოგესალმებით!

მე, ქიმიის მასწავლებელი-ნინო სამხარაული ვახორციელებ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის საჭიროების კვლევას თემაზე: **„როგორ შეუწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება და პედაგოგთა თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას“.**

<u>ინფორმაცია ანონიმურია და არ არის საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება.</u>

მოსწავლის კითხვარი

1. რომელი კლასის მოსწავლე ხართ?

ა) მე-8 ბ) მე-9 გ) მე-10 დ) მე-11

2. მიგიღიათ მონაწილეობა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში? (საკლუბო მუშაობა, პროექტ-გაკვეთილები, კონფერენცია, სემინარი, გასვლითი გაკვეთილები და სხვა)

ა) დიახ ბ) არა

3. მონიშნეთ სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ რომელ არაფორმალურ აქტივობებში მიგიღიათ მონაწილეობა? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა) საკლუბი მუშაობა ბ)სემინარი გ)პროექტ-გაკვეთილი დ) კონფერენცია

ე)გასვლითი გაკვეთილი ვ) უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა ზ)საველე გაკვეთილები

4. როგორ ფიქრობთ, რატომ არის საჭირო არაფორმალური განათლება სკოლაში? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

ა) საინტერესო და სახალისოა.

ბ)ხელს უწყობს ფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის დაკავშირებას პრაქტიკასთან.

გ) იძლევა მეტი კომუნიკაციის საშუალებას სხვა ადამიანებთან.

დ) იძლევა რთული მასალის მარტივად შესწავლის საშუალებას.

ე) ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებას.

ვ) ზრდის თავდაჯერებულობას.

ზ) სხვა

5. არაფორმალური განათლების მიღება უმეტესწილად ხდება:

ა) საკლასო ოთახში-გაკვეთილზე. ბ) სასკოლო კლუბებში, სემინარებზე, გასვლით გაკვეთილებზე.

6. რას ფიქრობთ, აქტივობებში ჩართულობისას, თქვენი მოტივაცია უფრო მაღალია

ა) ფორმალური განათლების დროს ბ)არაფორმალური განათლების დროს

7. შემოთავაზების შემთხვევაში, რომელ არაფორმალურ აქტივობებში მიიღებდი მონაწილეობას? (შეგიძლია მონიშნო რამდენიმე პასუხი)

ა) პროეტ-გაკვეთილი ბ) კლუბური მუშაობა გ) გასვლითი გაკვეთილები ვ) სემინარები

დ) საველე გაკვეთილები ე) კონფერენცია ზ)უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა

8. მიეცით რეკომენდაცია თქვენს სკოლას მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.----------

---

---

9. ამოირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი თითოეული შეკითხვისთვის.

კრიტერიუმი	სრულიად არ ვეთანხმები (1)	არ ვეთანხმები (2)	ნაწილობრივ ვეთანხმები (3)	ვეთანხმები (4)	სრულიად ვეთანხმები (5)
არაფორმალური განათლების აქტივობები ჩემი ინტერესის სფეროა.					
არაფორმალური განათლების					

აქტივობები სკოლაში ხელმისაწვდომია					
სკოლის მიერ შემოთავაზებული არაფორმალური აქტივობები არის მრავალფეროვანი					
სკოლის მიერ შემოთავაზებული არაფორმალური განათლების აქტივობები არის გამოსადეგი.					
მე ვუზიარებ ინფორმაციას ჩემს თანატოლებსა და მეგობრებს იმ არაფორმალური აქტივობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მივიღე.					
მე თვალყურს ვადევნებ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი არაფორმალური აქტივობების შესახებ					

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის N3 საჯარო სკოლაში დავგეგმე და განვახორციელე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროების კვლევა,თემაზე: **„როგორ შეუწყობს ხელს სკოლაში არაფორმალური განათლების გააქტიურება და პედაგოგთა თანამშრომლობა საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მოტივაციას და ჩართულობას“.**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობების, კოლეგების ურთიერთთანამშრომლობის სიმცირის მიზეზების დადგენა და ამ მიზეზებით გამოწვეული პრობლემების გადაჭრის, შესაძლო გზების ძიების, მოგვარების გზით მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობის გაზრდა,ასევე კოლეგების ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება და ხელშეწყობა. კვლევის შედეგები ვთვლი რომ იყო დადებითი. ამიტომ ჩავთვალე, საინტერესო იქნებოდა მისი კოლეგებთან გაზიარება. კვლევის ანგარიშის წარდგენა მომიწია მასწავლებელთა არასრულ შემადგენლობასთან, არამედ მხოლოდ გარკვეულ ნაწილთან, რადგან სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ორცვლაში.

მსმენელმა პედაგოგებმა დაადასტურეს,რომ საკვლევი თემა და კვლევის საკითხი აქტუალურია, როგორც ჩვენს სკოლაში,ისე ზოგადად, თითქმის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. მსმენელებს საშუალება ჰქონდათ თამამად და ღიად გამოეხატათ საკუთარი აზრი,შეხედულებები და დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება კვლევის ირგვლივ წამოჭრილ საკითხებზე.

მსჯელობის საგანი გახდა კვლევის შედეგების სარგებელი პედაგოგებისთვის. რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა,რომ მიმდინარე კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა ინტერვენციებამ მართლაც რომ მოსწავლეთა საგრძნობი გააქტიურება და მოტივაცია გამოიწვია.

უკუკავშირები იყო დადებითიც და უარყოფითიც.მიუხედავად,მასწავლებელთა დადებითი შეფასებისა, ერთ-ერთმა მასწავლებელმა გამოთქვა აზრი იმის შესახებ, არაფორმალური გაკვეთილებისა და არაფორმალური სწავლების შესაბამისი აქტივობებისთვისთვის მას დრო არ რჩება.

წარმოდგენილ კვლევის ანგარიშს წესისამებრ, ავტვირთავ და გამოვაქვეყნებ როგორც სკოლის,ისე პირად ბლოგზე,რათა დაინტერესებულ პირებს საშუალება ჰქონდეთ, მოიძიონ და ნახონ ნებისმიერ დროს. ყველა პედაგოგს და ამ საკითხებით დაინტერესებულ ადამიანებს ვუსურვებ წარმატებას.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის

N3 საჯარო სკოლის ქიმიის წამყვანი მასწავლებელი:

ნინო სამხარაული.